საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გატანა ყოველ უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 16 მარტი. 2016 წ. №48 (7940), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ოფიციალური განცხადება

გიორგი კვირიკაშვილი:

საუნივერსიტეტო ცხოვრება უნდა გავაჯანსაღოთ!



სტუდენტი უნდა სწავლობდეს სწავლისთვის და არა ვიღაცის კანდიდატურისთვის წვალობდეს!..

— პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ პატივს ვცემ ჩვენი ახალგაზრდების სწრაფვას და სურვილს, უნივერსიტეტი იყოს რეალურად ავტონომიური და გაჯანსაღდეს საუნივერსიტეტო ცხოვრება.

მას შემდეგ, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვითარება უკიდურესად დაიძაბა და სტუდენტური პროტესტი რიგ შემთხვევებში სრულიად მიუღებელ მოქმედებებში გადაიზარდა, მთავრობა ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა სასწავლო პროცესი დაუბრუნდეს ნორმალურ კალაპოტს. იმისათვის, რომ კიდევ უფრო არ გამძაფრდეს სიტუაცია და პროცესები უმართავი არ გახდეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო დავალება სასწრაფოდ განმუხტოს ვითარება და გააძლიეროს უსაფრთხოების ზომები.

მოვუწოდებ ყველა მხარეს, მათ შორის ჩვენს ახალგაზრდებს, გამოიჩინონ კეთილგონიერება, რათა პროცესები გადავიდეს მშვიდ და ცივილიზებულ ფორმატში.

ვინაიდან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო პროცესების იმგვარად წარმართვა, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის სტუდენტებს, მშვიდ და სტაბილურ გარემოში შეძლებოდათ საკუთარი აზრის დაფიქსირება და მათი პოზიცია ყოფილიყო სათანადოდ გააზრებული, ვავალებ განათლების მინისტრს თამარ სანიკიძეს, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს შეხვედრის ორგანიზება პარიტეტულ საწყისებზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და ხელმძღვანელ პირებთან, რათა მოხდეს შექმნილი პრობლემის უმოკლეს ვადებში გადაჭრა.

დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ახალგაზრდების პოზიცია და მონაწილეობა იმ ახალი რეფორმის შემუშავებაში, რომლებსაც ჩვენ ვგეგმავთ განათლების სისტემაში. მხოლოდ ერთიანი ძალით — დარგის სპეციალისტების და სტუდენტების მონაწილეობით შევძლებთ შევიმუშაოთ ისეთი რეფორმა, რომელიც რეალურად შეცვლის განათლების სისტემას!

გახსოვთ „ხლისტების სოფელი?!“

ნეგისმიერი ორიენტაციის პოლიტიკოსი გულწრფელი მაინც უნდა იყოს!

⑥

ქადაგიძე წავიდა, რწმენა მოვიდა

④

პედაგოგიკის დაბრუნება საქართველოში

⑤



მთავარი თემა

ჟურნალისტი ელისო კილაძე აქაც გაეჩხირა!

ჩანაწერების გადაცემა ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ ხდებოდა, — ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პროკურორმა კოკა კაციტაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, პროკურატურამ დაადგინა გელა ღურწკაიას მიერ მოპოვებული ვიდეოჩანაწერების წარმომავლობა და დანაშაულში ჩართულ იმ პირთა წრე, რომელიც ვიდეოჩანაწერების მოპოვებასა და გავრცელებაში მონაწილეობდა.

„2015 წლის დეკემბერში, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი ნიკოლოზ ხაჭაპურიძე დაუკავშირდა გელა ღურწკაიას, რომელსაც ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ შესთავაზა ერთ-ერთი ჩანაწერის „ქრონიკა პლუსის“ რედაქტორ ელისო კილაძეზე გასაღება. თავის მხრივ ნიკოლოზ ხაჭაპურიძეს ჩანაწერები გადასცა მისმა მეგობარმა ინგა ჩატოიანმა. მან ეს მასალები ადვოკატ ირაკლი ფხალაძისგან მოიპოვა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ადვოკატმა ეს მასალები გამოართვა ზურაბ ჯამალაშვილს“, — განაცხადა კოკა კაციტაძემ.

ამ ეტაპზე მოცემულ საქმეზე სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია: გელა ღურწკაიას, ნიკოლოზ ხაჭაპურიძის, ინგა ჩატოიანის, ირაკლი ფხალაძის მიმართ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 157-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე ვადით. 2016 წლის 14 მარტს, ბრალდებულის სტატუსით დაკავებულ იქნა ზურაბ ჯამალაშვილი, საქართველოს სსკ-ის 157-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

ოლოლო შენ, ჩვენო სექსუალურო პრეზიდენტო!

— პრეზიდენტს ქონებრივი სიმდიდრე რომ არ გაკლიათ გასაგებია, ბატონო გიორგი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ ეგ სიმდიდრეც და ეგ იულიუს კეისრის შესაფერისი სასახლეც. მაგრამ, მართალი გითხრათ, გაოცებული ვართ, ნამდვილად არ ვიცოდით, თუ სექსუალური ცხოვრებაც მდიდარი გქონდათ. სექსუალურ სიმდიდრეს კი, მოგეხსენებათ, ცოტა არ იყოს, ჰარამხანის სუნი უდის... ჰარამხანის პატრონს, მოგეხსენებათ, ჯანის გარდა, დროც ბლომად უნდა ჰქონდეს.

აი, რატომ გვაფიქრებინა სექსის მიმართ თქვენმა ფილოსოფიურმა მიდგომამ, რომ, ჯერ ეს ერთი, მაგ ჯიუტად დაჩემებულ სასახლეს ჰარამხანადაც ხომ არ იყენებთ და, ამასთანავე, სახელმწიფოს მშენებლობისთვის დასახარჯ დროს ცხადად თუ ფარულად სწორედ მდიდარი სექსუალური ცხოვრებისთვის ხომ არ ფლანგავთ (სექსუალური მანიაკი სააკაშვილისა არ იყოს)?!

ისე, იმაშიც უთუოდ მართალი ბრძანდებით, რომ სექსი და სექსუალური ცხოვრება სულაც არ არის სამარცხვინო, მით უმეტეს, თუ ამას ბოზობის ხასიათი არა აქვს.

ოლოლო შენ, ბატონო პრეზიდენტო! არა მგონია, ჩვენისთანა სექსუალური ბუღა მეორე პრეზიდენტი (პირველობას სააკაშვილს ვერ წაართმევთ!)! ჩვენ გარდა, კიდევ ვისმე, რომელიმე ქვეყანას ჰყავდეს.

ყლინჯო ყვერიაული

თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ევროპაში მოკავშირეთა ძალების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოში ნატოს სამხედრო პარტნიორობის კოორდინაციის ყოველწლიური სამუშაო **შეხვედრა მიმდინარეობს. ვიზიტის ფარგლებში, დღეს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ევროპაში მოკავშირეთა ძალების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებს უმასპინძლა.** თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე იმყოფებოდნენ, ასევე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე, მინისტრის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში შოთა ღვინერია, ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ და თავდაცვის უწყების სხვა ხელმძღვანელი პირები.

ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო გზის 10-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია გრძელდება

რეგიონული **განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ხერგიანმა ქუთაისი-ალპანა-მამისონის უღელტეხილის საავტომობილო გზის 10-კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.**

შიდასახელმწიფოებრივი გზის აღნიშნული მონაკვეთი რუსეთის ფედერაციის საზღვართან მდებარეობს და 25 წელზე მეტია, არ შეკეთებულა. გზაზე ასფალტ–ბეტონის საფარი ძლიერ დაზიანებული და დეფორმირებული იყო. პროექტით გათვალისწინებულია გზის სავალი ნაწილის აღდგენა, მდ. საკალმახეზე და მდინარე ღელეზე არსებული ხიდების რეაბილიტაცია. ასევე, რკინა-ბეტონის მილებისა და ბეტონის საყრდენი კედლების შეკეთება. გაბიონების, კიუვეტების და სანიაღვრე ქსელის, ადგილობრივ გზებთან მიერთებების, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების მოწყობა.

სამუშაოების ღირებულება 5 მილიონ 932.08 ლარია და გზის რეაბილიტაცია 2016 წელს დასრულდება.

თბილისის მერიამ თანხები არ გაგვიფლანგავსო!

თბილისის მერია ნაციონალური მოძრაობის წევრების მხრიდან საბიუჯეტო თანხების გაფლანგვასთან დაკავშირებით გავრცელებულ ბრალდებებს ეხმაურება.

,,გუშინ ნაციონალური მოძრაობის წევრების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე დედაქალაქის მთავრობის მისამართით გაჟღერდა ბრალდებები საბიუჯეტო თანხების გაფლანგვასთან დაკავშირებით, კერძოდ, ნაციონალური მოძრაობის წევრები აპელირებენ მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში ზღვრული ფასების მიუთითებლობაზე და ამბობენ, რომ აღნიშნული საბიუჯეტო თანხების გაფლანგვას უკავშირდება.

იმისთვის, რომ საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანონ, განვმარტავთ, რომ სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა ხარჯთაღრიცხვის პოზიციების ერთეულების ზღვრული ფასების მითითებით პირველად 2016 წლის იანვარში გამოცხადდა. შესაბამისად, ტენდერებში აღნიშნული ზღვრული ფასების მითითების პრაქტიკა, სწორედ, დედაქალაქის ახალმა მთავრობამ დანერგა და წინა ხელისუფლების დროს ქალაქ თბილისის მერიის მიერ სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერებში არასოდეს ყოფილა გამოყენებული.

ამასთან, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ტენდერში ზღვრული ფასის მითითება სავალდებულო არ არის და თითოეული შესყიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია.

შესაბამისად, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრების მიერ გავრცელებული ინფორმაცია და ბრალდებები, მხოლოდ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება", – ნათქვამია მერიის განცხადებაში.

„მაესტროს" გაკოტრების პროცესი შეწყდა

შპს „სტუდია მაესტროს" გაკოტრების პროცესი შეწყდა. გადაწყვეტილება ამის შესახებ „მაესტროს" კრედიტორთა პოზიციის გათვალისწინებით მოსამართლემ მიიღო.

კრედიტორთა უმეტესობამ „მაესტროს" გაკოტრების პროცესის შეჩერებას მხარი დაუჭირა,

არხის გენერალურმა დირექტორმა ლევან გაჩეჩილაძემ კრედიტორებს ყველა ვალის დაფარვის პირობა მისცა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილებით, შპს „ტელეკომპანია მაესტროს" დირექტორ ბაჩო კიკაბიძეს სახელწოდება „მაესტროს" გამოყენების უფლება აეკრძალა.

ბაჩო კიკაბიძის თქმით, „მაესტროს" ვერ გაჩერებენ და მაუწყებლობა არც ერთი წუთით არ შეწყდება.

განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ვაჟა ნაჭყებიას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული ვაჟა ნაჭყებია დამნაშავედ სცნო განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით.

„სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად უტყუარად დადასტურდა, რომ 2015 წლის 18 ივნისს, დაახლოებით 20:00 საათზე ქ.თბილისში, დიდ დიღომში, მე-3 მიკრორაიონის №6 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე დაზარალებულ მანუჩარ მაისურაძეს მისი მეუღლის შეურაცხყოფის გამო, შელაპარაკება მოუვიდა 1992 წელს დაბადებულ ვაჟა ნაჭყებიასთან, რასაც მათ შორის ჩხუბი მოჰყვა. ჩხუბის დასრულების შემდეგ, ვაჟა ნაჭყებიამ შურისძიების მოტივით, განზრახ მკვლელობის მიზნით მანუჩარ მაისურაძეს ზურგში დაარტყა დანა, რის შემდეგაც იგი კვლავ ცდილობდა წაქცეული დაზარალებულისთვის დანის განმეორებით დარტყმას, თუმცა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შესძლო განზრახვის სისრულეში მოყვანა.

დანაშაულის ჩადენიდან მალევე, ვაჟა ნაჭყებია დაკავებულ იქნა ბრალდებულის სახით.

მოსამართლემ ბრალდებულ ვაჟა ნაჭყებიას ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა", – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

◎ კარგი ამბავი

„აწარმოე მთაში" - ახალი სახელმწიფო პროგრამა

მაღალმთიან დასახლებებში ბიზნესაქტივობის წახალისებისთვის შესაძლოა, ახალი სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე მთაში" დაიწყოს.

როგორც მთის განვითარების ეროვნული საბჭოს წევრი და რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი ოთარ კონჯარია რადიო „კომერსანტთან" აცხადებს, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონით არსებობს „მთის განვითარების ფონდი", რომელიც საბიუჯეტო ფონდია და არ არის ცალკე სტრუქტურული ერთეული. კონჯარია ამბობს, რომ ფონდის ფინანსები მიმართული უნდა იყოს როგორც ინფრასტრუქტურული პროექტებისკენ, ასევე სამეწარმეო და ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების შემუშავებისკენ.

მისივე თქმით, უკვე არსებობს მთავრობის დადგენილების პროექტი და გადაწყდა, რომ თანხის ნაწილი მიმართული იქნება „აწარმოე საქართველოს" მსგავსი სახელმწიფო პროგრამისკენ, რომლის მიზანიც მაღალმთიან დასახლებებში ბიზნესაქტივობის წახალისება და ბიზნესპროექტების დაფინანსება უნდა იყოს. ფონდის ბიუჯეტი 2016 წელს 20 მილიონი ლარია და მას შემდეგ, რაც მთავრობა მოიწონებს ამ ინიციატივას, შესაძლებელი იქნება აქტიური სამუშაოების დაწყება.

„მთის კანონი" 2016 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. კანონის მიხედვით, მაღალმთიანი დასახლებების სტატუსის მქონე სოფლები მთელი რიგი შეღავათებით ისარგებლებენ. კანონი, მოსახლეობისადმი სხვადასხვა სოციალური დახმარების გარდა, შეღავათებს ითვალისწინებს ბიზნესისთვის – კერძოდ, საშემოსავლო, მოგებისა და ქონების გადასახადისგან ათავისუფლებს იმ კომპანიებს, რომლებსაც მაღალმთიანი საწარმოს სტატუსი აქვთ. შეღავათები კომპანიებს 10 წლის განმავლობაში ექნებათ.

სალომე სოსელია

◎ კაკალ გულში

ამდენ ლიბერალს ვინ გაუძლებს!?

● ნამდვილად საშინელებაა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნება, მაგრამ უფრო ამაზრზენია ის, რომ ე.წ. „ცნობადი სახეები", დაწყებული პრეზიდენტიდან გაგრძელებული მავანით და მავანით, თავიანთი „მამაცური აღიარებებით" ცდილობენ ე.წ. „მაღალ კასტაში" გარევას. „სექსი მაქვს, მქონდა და მექნება!" – მერე რა? არავის გადაუღუნო! სექსი ყველას აქვს, ჰქონდა და ექნება! ყველა ვჭამთ საჭმელს, ვსვამთ და გვძინავს. რა არის ამაში განსაკუთრებული „სიმამაცე"?

აი ეს არის აზროვნების ის სიმწირე, რომელიც საუბედუროდ ადამიანთა მცირე რაოდენობისგან იფრქვევა უმრავლესობის გარშემო. აზროვნების ის სიმწირე, რომელსაც უნდა დავუპირისპირდეთ პირველ რიგში!!!

● 1. ევროკომისიის გადაწყვეტილებამდე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის და ყველა იმ ქართველისთვის, ვისაც ქვეყანა უყვარს, გამოდის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი და ამბობს, რომ მასზე რაღაც ვიდეოების გავრცელებას აპირებენ...

2. ცხრა მარტს ევროკომისია იღებს საქართველოსთვის ისტორიულ გადაწყვეტილებას და ველოდებით დასკვნით ეტაპს.

3. და აი, ამ დროს, 11 მარტს ვრცელდება ის ვიდეოკადრები...

4. ჩემთვის მიზანი გასაგებია. არაფერ შუაშია ალასანიას პარტია, სამაგიეროდ, თავშია ქვეყნის იმიჯის შელახვის მცდელობა!

5. კოვზი ნაცარში ჩაგივარდათ, რადგან ის ადამიანები, ვისაც ეს ქვეყანა ძალიან უყვარს, გაცილებით მეტნი ვართ!!!

● „რუსთავი-2" ინტერაქტივი:

დგას თუ არა ხელისუფლება პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების უკან?

კი – (ზარის ავტორს 100 ლარი);

არა – (ზარის ღირებულება 100 ლარი).

● მე რომ თავისუფალი ვიყო, აუცილებლად დემოკრატი ვიქნებოდი, ხოლო დემოკრატი რომ ვყოფილიყავი, უეჭველად თავისუფალი ვიქნებოდი, ვითარცა ფრთებიანი ბადრიჯანი, რომელიც მერცხალია.

● საქართველოში ისეთი თავისთავადი ლუსტრაცია მიდის, რომ ვიცინო თუ ვიტირო, აღარ ვიცი. ეს სექსუალურად ანგაჟირებულები ხომ ერთმანეთს ასწრებენ" გულახდილობაში", ეს „ცნობადები" კიდევ პარტიებში გაწევრიანების დასწრებაზე არიან, მოკლედ, ტრაგიკომედიაა ჩვენს თავს. ღმერთისა და საწყალი ხალხის იმედად უდგას სული ამ ჩემს უბედურ სამშობლოს, თორემ ამდენ მედროვეს და ამდენ ლიბერალს რა გაუძლებდა?!

„ოცნება“ კოჰაბიტაციის უმძიმეს შედეგებს იმკის...

კუსა და მორიელის კოალიცია თუ ყველა მორიელთან კონსენსუსი?!



„ქართული ოცნებისა“ და „რესპუბლიკელების“ სავარაუდო „ორპარტიული სტრატეგიული ხელშეკრულება“ კუსა და მორიელის დაძმობილების ამბავს მოგვაგონებს, იმ განსხვავებით, რომ, თუ მორიელი შუა წყალში კბენდა კუს, „რესპუბლიკელები“ წყალში შესვლის წინ კბენენ თავიანთ ზურგზე შემსმელს. ისინი თავს ამეტებენ არა მარტო კოალიციის სხვა პარტიებს, არამედ მის შემქმნელ „ქართულ ოცნებასაც“, რომლის ხელმძღვანელს, პრემიერ-მინისტრს, წინ უხტებიან, მის დაუკითხავად დადიან ევროპასა და ამერიკაში, ყიდულობენ უსარგებლო რაკეტებს, აკეთებენ ქვეყნისთვის საზიანო ანტირუსულ განცხადებებს, დაძვრებიან უკრაინაში და საიდუმლოდ ხვდებიან ძებნილ ნაპრეზიდენტალს, ეშმაკმა იცის, რა მიზნით, ამ დროს ჯარი მათ ხელშია!..

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხომ მოინელეს, ახლა გიორგი კვირიკაშვილს შეუჩნდნენ, აშანტაჟებენ, უჩვენოდ „დასავლეთის მიმართულებით პრობლემები შეგექმნებაო“, და ცდილობენ მრავალპარტიული კოალიცია საარჩევნოდ ორპარტიულად გადააკეთებინონ, სადაც თვითონ იპარპაშებენ. კვირიკაშვილსაც მოიცილებდნენ, თავის „ოცნებიანად“, მაგრამ იციან, რომ დამოუკიდებლად საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავენ და კვლავ მის ზურგზე ჯდომით ნებავთ პარლამენტში შებრძანება. კოალიციის სხვა წევრები კი რაში სჭირდებათ, ისინი „გინდ ყოფილან, გინდ არა“.

ამის გამო შენიშნა პარლამენტარმა **თამაზ მეჭიაურმა: „კოალიცია არ უნდა შედგებოდეს, ერთი მხრივ,არიული რასისგან, ცისფერსისხლიანებისგან და, მეორე მხრივ, პლებეებისგან, მონებისგან. ის უნდა იყოს თანაბარი როგორც პიროვნებების კუთხით, ასევე პოლიტიკური ჯგუფებით. ზოგიერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი — რიგითი, სადღაც თავს აძლევს უფლებას, რომ კოალიციის დამაარსებლით, ერთი მხრივ, ისარგებლოს და ის, რაც მისგან აქვს, მიიღოს და, მეორე მხრივ, ის კრიტიკის ქარცეცხლში საჯაროდ გაატაროს“. ამიტომ იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ „ყველამ იყაროს კენჭი დამოუკიდებლად. ვისაც ერთმანეთის გარეშე არ შეუძლია პოლიტიკური ცხოვრება, მერე დაწყვილდნენ ერთად და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ ის მანდატები, რომელსაც მოსახლეობა მათ მისცემთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პოლიტიკურ ძალებს აერთიანებთ მხოლოდ ერთი რამ — პარლამენტში მოხვედრის გარანტი. აქედან გამომდინარე, მერე უკვე თავს იჩენს ხოლმე ასეთი შეუთავსებლობა და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, აზიანებს არა მხოლოდ კოალიციას, არამედ საერთოდ ქვეყნის ინტერესებს“.**

„რესპუბლიკელების“პროდასავლურ ვიწროპარტიულობასა და მეჭიაურის თავისუფალ უპარტიობას შორის, „ოქროს კვეთს“ ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი. ალასანიას პარტიის ეს ახალი „ინტელექტუალი“ (იბაქიბუქონ ახლა „რესპუბლიკელებმა“ თავიანთი „ინტელექტუალებით“!), პირველებისგან განსხვავებით, მრავალპარტიულობის მომხრეა (ოღონდ, ყველა პარტია, ცხადია, „დასავლური მიმართულებისა“ უნდა იყოს), მეორისგან განსხვავებით (პირველებთან თანხმობით!) კი, — კოალიციის არჩევნებამდე (და არა არჩევნების შემდეგ, როგორც ეს დასავლეთში ხდება) შედგენის მომხრე. მიზანი აქაც იგივეა, რაც „რესპუბლიკელების“ შემთხვევაში: რომ პარლამენტში შევიდნენ „ოცნების“ ზურგზე ჯდომით, რადგან დამოუკიდებლად ამას ვერ შეძლებენ. წინა პრემიერი, როგორც ჩანს, დამოუკიდებლობისთვის სწირავდა, „რესპუბლიკელებსა“ და „ნაცმოძრაობასთან“ ერთად, „დამოუკიდებელ დემოკრატებსაც. ამიტომ კიცხავს იგი ღარიბაშვილს და საქციელს უწონებს კვირიკაშვილს: „წინა პრემიერის თანამდებობაზე ყოფნის ბოლო ერთი წლის განმავლობაში... არ იყო საფუძველს მოკლებული ეჭვი, რომ მისი ლიდერები ძირითადად „ნაცმოძრაობასთან“ თუ ყოფილ მოკავშირეებთან (ალასანიას გუნდს გულისხმობს. — **ო.ხ.**) დაპირისპირების რეჟიმში აპირებდნენ არჩევნებზე წარდგომას. ვფიქრობ, ახალი პრემიერი უფრო ორგანულად მოერგო თავის როლს, ვიდრე წინამორბედი. უკანასკნელი განცხადებების მიხედვით იგი სახელმწიფოებრივი ალმშენებლობის იდეის ირგვლივ საერთო საზოგადოებრივი კონსესუსის მიღწევას ცდილობს“.

> **კონსენსუსი უწყინარი სიტყვაა. ფრანგულ სინამდვილეში „კოჰაბიტაციაც“ უწყინარი სიტყვა იყო, მაგრამ ქართულად მოთარგმნილი ერთობ მაწყინარი გახდა. ამიტომ საფრთხილოა, „კონსენსუსსაც“ იგივე არ დაემართოს. თუმცა კონსენსუსი გარისკვად ღირს!**

ფილოსოფოსის სურვილი, „ქართული ოცნების“ ზურგზე შესვას ალასანიას გუნდიც, გასაგებია: თვითონაც მისი წევრია. მაგრამ რა რჯის მას, რომ იმავე ზურგზე შეასკუპოს „ნაცმოძრაობაც“?!

რა თქმა უნდა, „სახელმწიფოებრივი ალმშენებლობის იდეის ირგვლივ საერთო საზოგადოებრივი კონსენსუსი“!

კაცს თურმე „სახელმწიფოებრივი ალმშენებლობის იდეა“ აწუხებს, ჩვენ კი კინაღამ პირადი დაინტერესება დავწამეთ! თუმცა ეს „იდეა“ ჯერ მისი საკუთარია და არა კვირიკაშვილისა. მასთან საუბარი იყო ორპარტიულ და არა ოთხპარტიულ კოალიციაზე, ანუ „ოცნების“ ზურგზე მარტო „რესპუბლიკელების“ შესმაზე, და არა, მათთან ერთად, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „ნაცმოძრაობის“ აკიდებაზეც. მართალია, სამივენი „სტრატეგიულად“ ერთნი არიან, მაგრამ გაუძლებს „ოცნების“ ზურგი ამისთანა ტვირთს? წინა არჩევნებზე რომ გაუძლო, მაშინ „ნაცმოძრაობის“ მოშორებას ეხებოდა საქმე და ხალხი ზურგს უმაგრებდა „ოცნებას“, ახლა კი, თუ მან ისიც ზურგზე აიკიდა, საეჭვოა, რომ ხალხმა იგივე გააკეთოს.

მეორე მხრივ, „ნაცმოძრაობასთან“ დაკავშირებით „სახელმწიფოებრივი ალმშენებლობის იდეასაც“ რომ თავი დავანებოთ, „საერთო საზოგადოებრივი კონსესუსის“ ინტერესი მოითხოვს, „ოცნების“ ზურგზე, „რესპუბლიკელებსა“ და „თავისუფალ დემოკრატებთან“ ერთად, „ნაცმოძრაობის“ აკიდებასაც. აბა, უოცნებოდ როგორ დაბრუნდებიან ისინი (სამივენი) ხელისუფლებაში?!

ზაზა ფირალიშვილი თავის ვრცელ ინტერვიუში ერთხელაც არ ახსენებს სიტყვა „კოჰაბიტაციას“, მას ყველგან, რამდენჯერმე, „კონსენსუსით“ ცვლის. კონსენსუსი უწყინარი სიტყვაა. ფრანგულ სინამდვილეში „კოჰაბიტაციაც“ უწყინარი სიტყვა იყო, მაგრამ ქართულად მოთარგმნილი ერთობ მაწყინარი გახდა. ამიტომ საფრთხილოა, „კონსენსუსსაც“ იგივე არ დაემართოს. თუმცა კონსენსუსი გარისკვად ღირს!

ფილოსოფოს ზაზა შათირიშვილის თქმით (ზაზა ფირალიშვილში არ აურიოთ!), მაგალითად, **„თუ კონსენსუსი არ არის, მაშინ ერიც არ არის“**. იგივე შეიძლება ითქვას „საზოგადოებაზეც“. ამ თვალსაზრისით, ზაზა ფირალიშვილსაც შეიძლება დავეთანხმოთ, „ნაცმოძრაობასთანაც“ კონსენსუსის საკითხში. მაგრამ რატომ არ სურს ბატონ ზაზას (ფირალიშვილს, თორემ შათირიშვილთან რა გვესაქმება?!), რომ თვითონაც დაგვეთანხმოს კოალიციაში შემავალ, განსხვავებული აზრის მქონე პარტიებთან კონსენსუსის საკითხში?

ახლად მოვლენილი „თავისუფალი დემოკრატის“ საფიქრალი ის ყოფილა, რომ „კოალიციაშიც კვლავ იაქტიურებენ ის ძალები და პერსონები, ვისთვისაც დასავლური ორიენტაცია მხოლოდ ფასადია და მზად არიან, ფარულად თუ ზოგჯერ აშკარადაც ამ კურსის მოწინააღმდეგეებს დაუჭირონ მხარი“.

ომარ ხახაშვილი

სამართალი აღდგა!

პროკურატურამ ქონებაჩამორთმეულ მოქალაქეებს 13 მილიონი ლარის ქონება დაუბრუნა

დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე კოკა კაციტაძე აცხადებს, რომ ერთი წლის განმავლობაში მათ მიერ გახსნილია 29 დანაშაულებრივი ფაქტი, რომელიც ეხება წინა ხელისუფლების დროს ქონების უკანონო ჩამორთმევის ფაქტებს. ინფორმაციას „ბიზნეს-კონტაქტი“ ავრცელებს.

გამოძიების მსვლელობისას მხილებულია 22 საჯარო მოხელე, დაზარალებულად ცნობილია 40 პირი და დაბრუნებულია დაახლოებით 13 მილიონი ლარის ღირებულების ქონება, სადაც შედის როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება. მათ შორის 39 ავტომანქანა, 2 მიწის ნაკვეთი, 3 საცხოვრებელი ბინა, 1 საოფისე ფართი, 48 სახეობის ოქროს ნაკეთობა და დაბრუნების პროცესშია თელავში მდებარე აკურას ღვინის ქარხანა, — აცხადებს კოკა კაციტაძე.

პროკურატურის ინფორმაციით, დეპარტამენტი დღეის მდგომარეობით 307 სისხლის სამართლებრივ საქმეს იძიებს, თუმცა ეს არ არის მხოლოდ ქონების ჩამორთმევის საქმეები, აქ არის იძულების, ცემა-წამების საქმეებიც, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამართალდამცავ ორგანოებში და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

— არსებობს მთავრობის განკარგულება, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც სახელმწიფოს ბალანსზე აღირიცხება. რაც შეეხება კომპენსაციებს, ეს განკარგულებაში არ არის მოცემული, თუმცა ეს პროკურატურის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ვალდებული ვართ გამოვიძიოთ დანაშაულებრივი ფაქტი, დავადგინოთ, რომ დაზარალებულს მიადგა ზიანი და იძულებით მას ჩამოართვეს ქონება, ამის შემდეგ ერთვებიან ისეთი კომპეტენტური ორგანოები, როგორიცაა, მაგალითად, ეკონომიკის სამინისტრო და ქონების მართვის სააგენტო. მათი კომპეტენციაა უკვე მოხდეს ქონების დაბრუნება მოქალაქისთვის. რაც შეეხება კომპენსაციას და ზარალის ანაზღაურებას, ქონების დაბრუნებაც ზარალის ანაზღაურების ფორმაა, თუმცა ეს არ არის მოქალაქისთვის ზარალის ანაზღაურების ერთადერთი გზა. ჩვენ ვაძლევთ მოქალაქეს საშუალებას, რომ გააკეთოს არჩევანი. მას შეუძლია დაიბრუნოს ქონება პირდაპირ იმ ფორმით, რა ფორმითაც სახელმწიფოს ბალანსზე აღირიცხება ან შეუძლია წავიდეს სასამართლოში, შეიტანოს სარჩელი და იდავოს უკვე სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩვენი გადაწყვეტილების საფუძველზე და მოითხოვოს თანხებში ზარალს ანაზღაურება, — აცხადებს კოკა კაციტაძე.

რაც შეეხება გამოძიების პროცესში მხილებულ საჯარო მოხელეებს, როგორც კოკა კაციტაძე განმარტავს, მხოლოდ მათი ნაწილი მიეცა პასუხისგებაში. კაციტაძის თქმით, დეპარატამენტის მუშაობის შედეგად 22 საჯარო მოხელეა მხილებული, რომლებიც იმ დროისთვის დასაქმებული იყვნენ სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოებში. მხილებული 22 პირიდან 5 პირის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა, 2 პირის მიმართ გარდაცვალების გამო შეწყდა გამოძიება, ხოლო დანარჩენი მოხელეების მიმართ მოხდა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება. კაციტაძის თქმით, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა, რადგან ისინი თანამშრომლობდნენ გამოძიებასთან და ხშირ შემთხვევაში ამხელდნენ მათზე ზემდგომ თანამდებობის პირებს, რომელთა დავალებითაც ხდებოდა მოქალაქეებისთვის ქონების უკანონო ჩამორთმევა.

კოტე ცხადაძე

ქადაგიძე წავიდა, რწმენა მოვიდა

ლარმა ცოტა შვება იგრძნო

ვიცი, სააკაშვილის ნარჩენები შემედავებიან, მეტყვიან, ქადაგიძე კი იყო „მაგარი“ ბანკირი და პროფესიონალი ფინანსისტი, მაგრამ უცოდინარი და უნიათო მთავრობის ხელში ლარის მოძალებულ დევალვაციას ვეღარ გაუმკლავდა, ეროვნული ვალუტა კატასტროფულად გაუფასურდა და ისედაც გაჭირვებული ხალხი გაუსაძლის ყოფაში ჩააგდოო. კი მაგრამ, ქადაგიძის პრეზიდენტის სავარძლიდან გადაჯდომისთანავე მისავათებულმა ლარმა სული ერთბაშად რომ მოითქვა და გამყარებისკენ წავიდა, ამას რიღათი ახსნიან? სულ რამდენიმე დღეში ერთბაშად „ბლუმბერგის“ ელექტრონულ პლატფორმაზე ლარის კურსი 2,40-ის ნიშნულზე დაფიქსირდა, მაშინ როდესაც მანამდე დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის კურსი 2,50-ის ფარგლებში ტრიალებდა. წინასაინფარქტო კრიზისიდან ლარის მოულოდნელ გამოძრომას სპეციალისტები სწორედ ეროვნული ბანკის მმართველობიდან ქადაგიძის წასვლას უმადლიან.

გიორგი ქადაგიძე 7 წელი (2009-2016) ედგა ქვეყნის ცენტრალურ ბანკს სათავეში. მისი მოსვლის შემდეგ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც გაკეთდა, ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის გაუქმება და მის ნაცვლად სავალუტო აუქციონების სისტემის დანერგვა იყო, ანუ ლარის კურსის დადგენა დაიწყო თანამედროვე პრაქტიკის შესაბამისად. თუმცა მცირე ხანში ქადაგიძის უწყებამ დახურა ინფორმაცია სავალუტო აუქციონებზე წარმოქმნილი მოთხოვნის შესახებ, აბსურდული მიზეზით, რომ თურმე ეს ინფორმაცია სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, საზოგადოებამ დაკარგა ინფორმაცია, თუ როდის რა ვალუტაზე, რა ოდენობის მოთხოვნა ფიქსირდებოდა და ამით ლარის კურსის ფორმირება ფაქტობრივად გასაიდუმლოვდა, რამაც არც თუ სასიამოვნო შედეგებში იჩინა თავი.

გაუფასურებული ლარი, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებული საბანკო სექტორი, ხშირად მოთხოვნის არარსებობის მიუხედავად, ბაზრისთვის ლარის დიდი ოდენობით მიწოდება, გადაწყვეტილების პოლიტიკური გეზის მიხედვით მიღება – ასეთი იყო სპეციალისტების შეფასებით ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის მმართველობის ლაიტმოტივი. **ეკონომისტთა და ექსპერტთა აზრით, საქართველოში მაკროეკონომიკური პარამეტრები არ იყო ისეთი, რომ ლარი 46 პროცენტით გაუფასურებულიყო.**

ეკონომისტ ვაჟა კაპანაძის აზრით: **„ქადაგიძე არის სწორედ ის ადამიანი, რომელიც კომერციულ სტრუქტურებთან იყო გარიგებული. მის მიმართ არსებობს შეკითხვები, რომლებიც უნდა დაუსვან და მან პასუხი უნდა გასცეს. 20-40 მილიონი დოლარის ინვესტიციას ახდენდა და კურსი არ იცვლებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ვიღაც-ვიღაცები ამას ელოდებოდნენ, ფულს აგროვებდნენ, რათა მერე ინტერვენციისას დოლარი ეყიდათ. ლარის კურსის დაცემის მიზეზებად თურქეთისა და აზერბაიჯანის მაგალითების მოყვანა სრული უაზრობაა. არავითარი კორელაცია ლარს, ლირასა და მანათს შორის არ არსებობდა“.**

აი, ყოველივე ამაზე კი, რაც საფინანსო-სავალუტო ბაზარზე ხდებოდა, სრულიად განსხვავებული აზრისაა ახალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელი პაატა შეშელიძე. მისი თქმით, ბოლო წლებში ლართან მიმართებაში არაერთი არასწორი ნაბიჯი გადაიდგა. ხშირად ბაზარზე ეროვნული ვალუტის მასა მოთხოვნასთან არაადეკვატურად იზრდებოდა, მაგრამ ის ძირითადად ხდებოდა ბიუჯეტის მიღება-დაფინანსების მიზნით. რაც შეეხება ქადაგიძის ადამიანურ-პოლიტიკურ ფაქტორს, ექსპერტის აზრით, ვალუტასთან მიმართებაში ის იღებდა იმ გადაწყვეტილებას, რასაც მთავრობასთან ათანხმებდა.

„ყველაფერი, რაც კეთდებოდა, აცხადებს შეშელიძე, იყო მთავრობისთვისაც ხელსაყრელი, მათი ინტერესებიდან გამომდინარე ხდებოდა ის, რაც ხდებოდა. ეროვნული ბანკი მუდმივად ხელს უწყობდა მთავრობის პოლიტიკას, ეს გახლდათ ერთი რგოლი. მთავრობას სჭირდებოდა ფული, სებ-ი ზრდიდა ფულის მასას, სჭირდებოდა დევალვაცია, ეროვნული ბანკი ახდენდა დევალვაციას და ა.შ. არანაირი დაპირისპირება მათ შორის არ იყო. ქადაგიძე ასრულებდა იმ დავალებას, რა დავალებაც მოდიოდა მთავრობიდან“.

ერთი სიტყვით, ექსპერტს თუ დავუჯერებთ, ქადაგიძე მთავრობის ყურმოჭრილი ყმა იყო (ეტყობა, ხადური, მეჭიაური და სხვები მოსაჩვენებლად ებუზღუნებოდნენ ბანკის თავკაცს), მას არავინ არაფერს ეკითხებოდა. აქედან გამომდინარე, საუბარი იმაზე, თითქოს ქადაგიძე დამოუკიდებელ თამაშს თამაშობდა, არის სრული შეცდომა და მოგონილი. იგი ასრულებდა დაკვეთას, რომელსაც მთავრობიდან აძლევდნენ.

ხედავთ რა ხდებოდა? ხელისუფლება, რომელიც ცხადლივ თუ შეფარვით, პირდაპირ თუ ირიბად ლარის დევალვაციის ბრალდებით ხელს ეროვნული ბანკისკენ იშვერდა, თურმე ყოველივე ამის დამკვეთი და შემოქმედი თავადვე ყოფილა. აქედან გამომდინარე, სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეროვნული ბანკის „მიღწევებით“ ქადაგიძე შიგადაშიგ ტრაბახობდა კიდეც. პროსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩვენი გამოცდილების გასაზიარებლად ხშირად ჩამოდიან, ამბობდა ის, და მის განზოგადებაში თუ არ მოგვეხმარებით, ხელს მაინც ნუ შეგვიშლითო(!).

> **დასავლეთიდან შემოგდებულმა კოჰაბიტაციამ, კოალიციურმა ხელისუფლებამ ნაციონალებთან თანაარსებობის ელექსირად რომ მონათლა, უსაშველოდ დააზარალა როგორც ქვეყნის ეკონომიკა და ხალხი, ისე თავად ნაცების მიერ უნიათოდ მონათლული მთავრობა.**



იმ პერიოდში ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა და მისი მხარდამჭერი ექსპერტები ხშირად აპელირებდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ქართული ბანკის დადებითად შეფასებაზე, ხოლო რატომღაც დუმდნენ იმავე ფონდის მიერ ბანკისთვის მიცემულ შენიშვნებსა და მითითებებზე. **ასეთ ფაქტად ეკონომიკის ექსპერტი მიხეილ დუნდუა ასახელებს ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს, რომელსაც ქადაგიძე, სავალუტო ფონდის რეკომენდაციის მიუხედავად, წლების მანძილზე არ აქვეყნებდა და არც ქვეყნის პარლამენტს წარუდგენდა.**

ყოველ წელს, როდესაც საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ჩამოდიოდა, თავის დასკვნაში მიუთითებდა, რომ ეროვნული ბანკი მოვალეა, ქვეყნის ეკონომიკაში დოლარიზაციის მაჩვენებელი შეამციროს, ბანკის თავკაცი ქადაგიძე ფონდს ამის პირობას კი აძლევდა, მაგრამ საქმით საპირისპიროს აკეთებდა. **ამის ნათელი მაგალითია ბოლო ერთ წელიწადში ლარის კატასტროფულად გაუფასურების პარალელურად დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი, რომელიც შემცირების ნაცვლად მთელი 10 პროცენტით გაიზარდა და საერთო ჯამში 70 პროცენტს მიაღწია.**

ახლა სასესხო პოლიტიკაში რა ხდებოდა, არ იკითხავთ? ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის განმარტებით, **სავალუტო ფონდის მოთხოვნების საპირისპიროდ, ხდებოდა დოლარში სესხის გაცემა იმ მომხმარებლებზე, რომელთაც შემოსავალი ლარში აქვთ, რაც იწვევდა სავალუტო რისკების მთლიანად მომხმარებლის ზურგზე აკიდებას და მოსახლეობის მასობრივად გაღატაკებას.**

ყველასთვის ცნობილი ამბავია, როდესაც ლარის მასის ზრდის ტემპი დოლარის შემოდინების ზრდის ტემპს მნიშვნელოვნად აღემატება, ლარის კურსი უფასურდება. აქედან გამომდინარე, ლარის გაუფასურების პროცესში გადამწყვეტი როლი ეკისრება ეროვნული ბანკის მიერ სწორად განხორციელებულ მონეტარულ პოლიტიკას. ჩვენთან კი რა ზომები მიიღო ეროვნულმა ბანკმა ლარის დევალვაციის შესაჩერებლად? მან ჯერ ეკონომიკის სტიმულირების, შემდეგ კი ბანკებისთვის ლიკვიდობის პრობლემის მოტივით, რეფინანსირების სესხების მოცულობის ზრდა დაიწყო და მიმოქცევაში ისედაც ჭარბი რაოდენობის ლარის მიუხედავად, კომერციული ბანკების დაკრედიტება 350 მილიონიდან 700 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. **ექსპერტთა განცხადებით, იმის ნაცვლად რომ ეროვნულ ბანკს ფულის გაძვირება დაეწყო და ლარი გაემყარებინა, პირიქით გააკეთა – მიმოქცევაში ფულის მასა გააორმაგა. ამას დაემატა დევალვაციის პერიოდში ცენტრალური ბანკის დუმილი, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა, ეროვნულ ვალუტაზე ფსიქოლოგიური მოქმედება გაძლიერდა და ეს ყველაფერი ლარის გაუფასურების 16-წლიანი რეკორდის მოხსნით დასრულდა!**

იმხანად მეოცნებე მთავრობამ ბევრი ივიშვიშა, თავნება ბანკის მმართველს ხან გადაყენებით დაემუქრა, ხან კიდევ ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს შექმნით, მაგრამ ვიდრე ქადაგიძეს უფლებამოსილება არ ამოეწურა, გასაჭირში ჩავარდნილ ეკონომიკასა და ლარის კურსის ქრონიკულ ვარდნას ვერაფერი მოუხერხა. **დასავლეთიდან შემოგდებულმა კოჰაბიტაციამ, კოალიციურმა ხელისუფლებამ ნაციონალებთან თანაარსებობის ელექსირად რომ მონათლა, უსაშველოდ დააზარალა როგორც ქვეყნის ეკონომიკა და ხალხი, ისე თავად ნაცების მიერ უნიათოდ მონათლული მთავრობა.** მართალია, ამ უკანასკნელმა ზარალი გაზრდილი პრემიებითა და სახელფასო დანამატებით ერთგვარად აინაზღაურა, მაგრამ არც იმდენად, ქადაგიძის ბანკის პრეზიდენტობიდან წასვლის ფაქტორს რომ შეპირწონებოდა.

წავიდა ქადაგიძე და მოვიდა რწმენა იმისა, რომ უახლოეს მომავალში ლარის ახალი წონასწორული კურსი გვექნება. ფაქტია, რომ ინვესტიციების გააქტიურებამ და ლარზე სპეკულაციური წნეხის მოხსნამ ეროვნული ვალუტის სტაბილურობას და მის პერმანენტულ გამყარებას შეუწყო ხელი. სპეციალისტთა ვარაუდით, ლარის გამყარების ტენდენცია მინიმუმ არჩევნებამდე შენარჩუნდება. ამ ეტაპზე ეროვნული ბანკის მთავარ გამოწვევად რჩება არსებული ტენდენციის შენარჩუნება, რაც საბოლოოდ იმაზეა დამოკიდებული, რა პოლიტიკას გაატარებს ბანკის მომავალი პრეზიდენტი და რამდენად შეძლებს ეროვნული ვალუტის პრიორიტეტული ინტერესების დაცვას. დაველოდოთ და დასკვნები ამის მიხედვით გავაკეთოთ.

ოთარ ხუციშვილი

◎ მეწარმეობა

დიდი კანონი მცირე ბიზნესისთვის

მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემებმა, როგორც იქნა, ხელისუფლების ყურამდეც მიაღწია. ფინანსთა სამინისტროში უკვე მზადდება კანონპროექტი „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის“ შესახებ. მისი მეშვეობით მკაფიოდ განისაზღვრება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ცნება, გამარტივდება ბუღალტრული აღრიცხვა და საგადასახადო შემოწმება. მიკრობიზნესმენის სტატუსის მისაღებად ბიზნესის ბრუნვის მოცულობა 30 ათასი ლარიდან 1 მილიონ ლარამდე გაიზრდება, მცირე ბიზნესის სტატუსისთვის ზღვარი – 10 მილიონ ლარამდე განისაზღვრება, ხოლო საშუალო ბიზნესისთვის – 50 მილიონ ლარამდე. პროექტი აშკარად რევოლუციურია.

სააკაშვილის ხელისუფლების დროს საქართველოში 70 ათასი მცირე საწარმო დაიხურა, ხოლო 2011 წლიდან 2013 წლამდე – 27 ათასმა მცირე საწარმომ შეწყვიტა არსებობა. ეს საგადასახადო სამსახურის მონაცემებია. როგორც „საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი თამაზ ვაშაკიძე აცხადებს, თუ ორ წელიწადში ამდენი საწარმო დაიხურა, ესე იგი, სახარბიელო მდგომარეობა არ არის და კანონი, რომელიც მოქმედებს, რეალობას არ შეესაბამება.

„ეს არ არის ჩვენი კანონი, ეს ევროპული კანონია და უნდა შეიცვალოს. ჩვენი კანონი იქნება მხოლოდ ის, რომელსაც სერიოზული კვლევისა და დაკვირვების შედეგად მიიღებენ და რომელიც ქართულ სინამდვილესთან იქნება მისადაგებული.

ჩვენთან კი, ყველაფერი მეწარმის და სამოქალაქო საზოგადოების გარეშე კეთდება, არავის აზრს არ ეკითხებიან და მერე იწყება კამათი იმის გამო, რომ ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც საჭიროა. და ბოლოს, ერთი რამ უნდა აღვნიშნო: მცირე ბიზნესს იმიტომ ჰქვია მცირე, რომ მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობს, წლიური ბრუნვა და თანამშრომლების რაოდენობა ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია: მთავარი სწორედ ეს შეღავათებია – როგორც ჩანს, ეს საქართველოში ყველამ არ იცის“, – აცხადებს ვაშაკიძე.

დღეს მცირე ან საშუალო ბიზნესის წამოწყება საკმაოდ დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ექსპერტი ნოდარ კაპანაძე ამბობს, რომ მომავალმა მეწარმეებმა ბევრი რამ უნდა გაითვალისწინონ.

„მცირე და საშუალო ბიზნესის დაწყება სოციალური ფენების გაუმჯობესების მთავარი იარაღია. დღეს ალბათობა იმისა, რომ ახალი საქმე შედგეს, არის მცირე, განსაკუთრებით, რეგიონებში. ნებისმიერ წამოწყებულ საქმეს სჭირდება დაკვირვება და გათვლა. მცირე ბიზნესის გასამართად აუცილებელია ბანკების თანადგომა, მაგრამ დოლარის გამყარების შემდეგ, კრედიტის დაფარვაც უჭირს ხალხს. სახელმწიფოს როლს რაც შეეხება, ამ მხრივ მხარდაჭერა არ იგრძნობა. მოკლედ, დღეს ვინც ბიზნესს დაიწყებს, ეს იგივეა, თაგვმა ბედნიერება სათაგურში ეძებოს“, – განაცხადა ნოდარ კაპანაძემ.

ბოლოს და ბოლოს, დღეს მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობით მთავრობაც დაინტერესდა. ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ამბობს, რომ მათი პრობლემების მოგვარება საქართველოს მთავრობის წევრებმა გადაინაწილეს.

„ამ ადამიანებმა დააყენეს ძალიან კონკრეტული, კარგად მოსაგვარებელი და გადასაწყვეტი საკითხები, რომლებიც ჩვენ გადავინაწილეთ და ძალიან მალე ამ საკითხებს გადავწყვეტთ. კერძო მეწარმეობის განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ის ძირითადი ამოცანაა, რომელიც ჩვენ ხელისუფლებას აქვს დასახული. ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ სწორედ მცირე და საშუალო მეწარმეობამ უნდა შექმნას ის ძირითადი სამუშაო ადგილები, რომელიც ქვეყანაში უნდა შეიქმნას და სწორედ მათზე დაყრდნობით უნდა განვითარდეს ქვეყანა“, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

ბექა დანელია

ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ



ᲐᲛ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲓᲦᲘᲡ წᲘᲜᲐᲗ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲜᲘ ᲨᲔᲕᲘᲥᲔᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲐᲠ ᲛᲝᲕᲔᲚᲝᲓᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲬᲝᲚᲘᲚ ᲬᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕ წᲙᲕᲐᲠᲐᲛᲨᲘ. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲬᲔᲚᲐᲓ ᲐᲘᲜᲗᲝ ᲡᲘᲑᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲚᲐᲞᲢᲐᲠᲘ: ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲙᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!

ᲐᲠ შᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲠ დᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲨᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ, ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲑᲝᲠᲙᲘᲚᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, შᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲫᲔᲕᲔᲑᲣᲚᲘ თᲔᲝᲠᲘᲐ, რᲐᲓᲒᲐᲜ კᲔᲗᲘᲚᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲫᲚᲔᲕᲡ ᲑᲝᲠᲝᲢᲡ, რᲐᲓᲒᲐᲜ სიკᲔᲗᲘᲡ არსᲔᲑᲐ გრძᲔᲚᲘᲐ!

იმᲐᲡ, რაც 10 მარტს მოხდა, კონკრეტული სახელი აქვს, თუმცა მისი სიმბოლური მნიშვნელობაც ძალიან დიდია: ქართულ უნივერსიტეტში შედგა პრეზენტაცია შალვა ამონაშვილის ახალი წიგნისა, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაიწერა და გამოიცა. **აღზრდის სიმფონია** ჰქვია ამ შესანიშნავ ქმნილებას, რომლის გამოჩენა უთუოდ იმედის სხივებით განანათლებს წკვარამში ჩაძირულ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს. ამის რწმენას ისიც მაძლევს, რომ ამ შესანიშნავი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ტევა არ იყო: სტუდენტები, პედაგოგები, ქართული ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენლები, ქართველი საზოგადოებისთვის საყვარელი სახეები ბრწყინავდნენ სიხარულითა და სიამაყით.

„აღზრდის სიმფონია“ ჰუმანური პედაგოგიკის პრიზმაში დანახული დიდი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიაა, რომელიც ასევე დიდი ქართველი პედაგოგის ხელში აღზრდის კონცეფციად და ტექნოლოგიად იქცა.

კლასიკასთან, კერძოდ, დიმიტრი უზნაძესთან შალვა ამონაშვილის შემოქმედებითი დამოკიდებულება არ ახალია, მაგრამ, ამჯერად ეს შეხვედრა განსაკუთრებულია. წიგნის შესავალში ბატონი შალვა წერს: „2011 წლის ივნისში მასთან შეხვედრისას პატრიარქმა მკითხა: „არ შეიძლება, დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია ბავშვების აღზრდაში გამოვიყენოთ, ბავშვებს შევუქმნათ განწყობები სამშობლოს სიყვარულისა, სიკეთის და პატიოსნებისა?“ ეს კითხვა მან ორი წლის წინათაც დამისვა, მაგრამ მაშინ მზად არ ვიყავი პასუხისათვის. ახლაც გამიჭირდა სრული პასუხის გაცემა, ამიტომ მოვახსენე: „თქვენო უწმინდესობავ, თუ ამ საქმეს მე დამავალებთ, შევეცდები გავაკეთო“. პატრიარქმა მაშინვე მაკურთხა.

ასე მივიღე შთაგონების ნაპერწკალი.

ᲦᲕᲗᲘᲣᲠᲘ ᲜᲐ�პᲔᲠᲬᲙᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲒᲘᲖᲒᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲛᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲣᲛᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ, რᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲐᲐ, ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲡᲐᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ, რᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲜ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲠᲘᲡ, ᲐᲜ რᲐᲓᲐᲪ ᲣᲐᲠᲔᲡᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲡᲩᲘᲠᲡ...

10 მარტს ქართულ უნივერსიტეტში გამართული შეხვედრა მხოლოდ „აღზრდის სიმფონიის“ პრეზენტაცია არ იყო. ორი დღის წინათ 8 მარტს შალვა ამონაშვილს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. ეს არცთუ მთლად საიუბილეო თარიღიც ლაიტმოტივად გასდევდა „აღზრდის სიმფონიაზე“ მსჯელობას.

8 მარტი, თუმცა ქალთა დღეა, მაგრამ ამ დღეს დაბადებული შალვა ამონაშვილი ჭეშმარიტად უებრო ვაჟკაცია, ინტელექტუალური და სულიერი რაინდი!

ნათქვამია, ბრძოლის ველზე ერთი კაცი მეომარი არ არისო. ბატონმა შალვამ ეს ანდაზა ეჭვქვეშ დააყენა: იგი დიდხანს იყო ბრძოლის ველზე მარტოდმარტო და იბრძოდა, როგორც ჭეშმარიტი რაინდი...

სწორედ ინტელექტუალური და სულიერი რაინდობა სჭირდებოდა იმ იმპერატიული რკინა-ბეტონის გალავნის გარღვევას, რომლითაც შემოზღუდული იყო პედაგოგიკის მეცნიერება და პრაქტიკა გასული საუკუნის სამოციან წლებამდე როგორც ჩვენში, ისე სხვაგანაც. თვით დიდი ჰუმანისტი ფილოსოფოსისა და პედაგოგის ჯონ ლოკის სამშობლოში, ინგლისში მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს გაუქმდა...

შალვა ამონაშვილმა სწავლებისა და აღზრდის სრულიად ახლებური კონცეფცია შეიმუშავა და მცირერიცხოვან თანამოაზრეებთან ერთად შეუპოვრად დაიწყო მისი დამკვიდრება აგრესიულად კონსერვატიულ გარემოცვაში.

ეს იყო მოზარდი თაობის აღზრდა პიროვნულ-ჰუმანურ საწყისებზე!

მისი ოპონენტები მაშინაც ამბობდნენ და დღესაც იტყვიან: განა მთელი კლასიკური პედაგოგიკა ჰუმანური არ იყოო. იყო, როგორ არა და სწორედ მისი წიაღიდან ამოიზარდა შალვა ამონაშვილის მოძღვრება, რომელშიც ორგანულად შეერთდა პოზიტიური ემპირიზმი და ღრმა სულიერ-რელიგიური მსოფლმხედველობა.

ამონაშვილამდელი პედაგოგიკა, ჩვენშიც და სხვაგანაც, ორიენტირებული იყო აღზრდისა და სწავლების მიზნებზე, ამონაშვილის პედაგოგიკა მიმართულია ბავშვებზე. „აღზრდის სიმფონიაც“ სწორედ ამის მაგალითია. ეს არის მისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი, რადგან ბავშვი მისთვის მხოლოდ სოციალური არსება როდია. ის არის ღვთიური წარმომავლობის უსაზღვროების მოდელი.

ტრადიციული პედაგოგიკაც, რა თქმა უნდა, ჰუმანურ იდეალებს ქადაგებდა, მაგრამ ამ იდეალების განხორციელების საშუალებები თავს იყრიდა „უნდას“ პრიზმაში, რაც არა მარტო არ გამორიცხავდა იმპერატივებს, არამედ, არსებითად, გულისხმობდა მას. სწორედ ამიტომ უწოდა ბატონმა შალვამ **ტრადიციულ პედაგოგიკას „უნდას პედაგოგიკა“.**

პედაგოგიკას რეცეპტები არა აქვს. ყოველი პრობლემა ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოსო პედაგოგმა. ამას ამტკიცებდნენ და დღესაც ამტკიცებენ „ტრადიციონალისტი“ თეორეტიკოსები. შალვა ამონაშვილმა პრინციპულად განაცხადა: პედაგოგიკა თუ მეცნიერებაა, მას სწორედ რეცეპტები უნდა ჰქონდეს. მთელი მისი მდიდარი შემოქმედება, სწორედ, პედაგოგიური რეცეპტებით არის გაჯერებული; აგერ ჩვენს წინაშეც ასეთი რეცეპტებით აღსავსე წიგნია — „აღზრდის სიმფონია“.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ პედაგოგის შემოქმედებითი თავისუფლება უარყოფილია. პედაგოგის ინდივიდუალური ოსტატობა ამ რეცეპტების გამოყენების ხელოვნებაა.

მსოფლიოში პოპულარული მისი წიგნები — **„ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐᲗ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲝ!, „ᲠᲝᲒᲝᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲝ?“, „ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ“** და ბევრი სხვაც, იმ პედაგოგიური სიმფონიის პარტიტურაა, რომლის შესრულება სწორედ პედაგოგის ოსტატობასა და შემოქმედებით ინდივიდუალობაზეა დამოკიდებული.

დღეს შალვა ამონაშვილი აღარ არის ბრძოლის ველზე გამოსული ერთი მეომარი. მას მსოფლიოში ათასობით მოწაფე და ათეულ ათასობით მიმდევარი ჰყავს. „ჰუმანური პედაგოგიკა“ დიდი ხანია, საერთაშორისო მოძრაობად იქცა. მისი ზემოდასახელებული და სხვა წიგნები მსოფლიოს 80-მდე ენაზეა თარგმნილი და გამოცემული. საქართველოში კი... „აღზრდის სიმფონია“ შ. ამონაშვილის პირველი წიგნია, რომელიც ამ ორმოცი წლის განმავლობაში ქართულ ენაზე გამოიცა ჩვენში და გამოიცა არა განათლების ორგანოების მოწადინებით, არამედ საქართველოს პატრიარქის კურთხევითა და ძალისხმევით.

ზოგს ჰგონია, შალვა ამონაშვილი წიგნებს რუსულად წერს და ასპარეზი რომ გაეფართოებინა, ამიტომ წავიდა რუსეთში.

იგი აიძულეს წასულიყო საქართველოდან, რადგან პირდაპირ უთხრეს: თქვენი პედაგოგიკა ჩვენ არ გვჭირდებაო. ვინ ეტყოდა, ამის მიხვედრა ძნელი არ არის!

თანამედროვეებს თავიანთ წრეში და მათ გვერდით დიდი კაცების დანახვა და შეფასება რომ უჭირთ, ეს მარტო ქართველების სენი როდია. აგერ, კულტურა-ცივილიზაციით დაწინაურებულმა ფრანგებმა გენიალურ დე გოლს უთხრეს უარი პრეზიდენტობაზე და მერე ისეთი პრეზიდენტები აირჩიეს, რომ მათ ჭკუაგონებაზე ქათამსაც გაეცინება...

ვინც შალვა ამონაშვილის მეცნიერული შემოქმედების მასშტაბებს იცნობს, ვისაც არა მარტო მისი წიგნები წაუკითხავს, არამედ ის საოცარი სემინარებიც უნახავს, რომლებსაც ახლაც დიდი ენთუზიაზმით ატარებს, დამერწმუნება, რომ ჩვენს გვერდით არის პედაგოგიკის კლასიკოსი, რომელმაც სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა ადგილი პედაგოგიკის ყველაზე გამოჩენილ კორიფეთა შორის.

ფეხბედნიერი იყოს პედაგოგიკის დაბრუნება საქართველოში „აღზრდის სიმფონიის“ სახით. იქნებ იმისი აკორდები საქართველოს განათლების მესვეურთა ყურსა და გულსაც მისწვდეს, თუ არა და სხვა გამგონნი და გამგებნი უსათუოდ გამოჩნდებიან.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ.

P. S. ᲘᲫᲜᲔᲑ ᲖᲔᲓᲛᲔᲢ ᲡᲘᲗᲐᲛᲐᲛᲘᲓ ᲩᲐᲛᲔᲗᲕᲐᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲣᲞᲐᲢᲘᲔᲑᲔᲚ ᲐᲠᲐᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲚᲝᲑᲐᲓᲐᲪ, მᲐᲒᲠᲐᲛ უნდა გᲐᲕᲠᲘᲡᲙᲝ და ᲑᲔᲕᲠᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲣᲮᲐᲓᲝ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲡᲔᲠᲒᲝ ᲕᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲔᲡ, ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲡ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲡᲐᲠᲗᲐᲜᲘᲐᲡ, ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲗᲡ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲗᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲬᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲠᲝᲠᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲛ.

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 2015 ᲬᲚᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

„კავშირის“ შემოსავალმა 2015 წელს შეადგინა 31450 ლარი. მ/წელს გაწეულია 29813 ლარის ხარჯი. მათ შორის: ჩატარდა 40 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა - საჩუქრებით, მაისის თვეში ომის 8 მონაწილესთან აგრეთვე მოეწყო საზეიმო შეხვედრა, 72 ვეტერან-ქალბატონთან 3 და 8 მარტის აღნიშვნა და დეკემბრის თვეში 85 წლის და ზევით 22 ვეტერან-ენერგეტიკოსთან შეხვედრა. ზემოთჩამოთვლილ ღონისძიებებზე დაიხარჯა 3091 ლარი.

ვეტერანებზე დახმარება გაიცა 1875 ლარი, საკანცელარიო ხარჯი 282 ლარი, ადმინისტრაციაზე, კომუნალურ მომსახურებაზე და კომპიუტერზე 22390 ლარი, გაზეთში განცხადებების განთავსებაზე 328 ლარი, ბანკის მომსახურებაზე 107 ლარი, ამორტიზაცია 128 ლარი, ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზე 199 ლარი, ქონების გადასახადი 6 ლარი, აუდიტის მომსახურებაზე 100 ლარი, არასაოპერაციო ხარჯი 52 ლარი (მიმდინარე აქტივების და ძირ. საშუალების ჩამოწერა), ოფისის იჯარაზე გადახდილია 600 ლარი, ანსამბლის ხელფასი გაცემულია 375 ლარი, ექსკურსიაზე გაწეულია 280 ლარის ხარჯი.

ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ 1/I-2016 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

აქტივი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს	პასივი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები (1110, 1210)	1343	2720	მიმდინარე ვალდებულებები	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები (1700, 1900)	114	59	სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება (5490)	480	3293
გრძელვადიანი აქტივი (2160)	648	514	გაუნაწილებელი მოგება	1625	0
სულ აქტივები	2105	3293	სულ პასივები	2105	3293

თავმჯდომარე რევო მშვიდობაძე; ბუღალტერი ციცინო ბენაშვილი



ნებისმიერი ორიენტაციის პოლიტიკოსი გულწრფელი მაინც უნდა იყოს!

საძართველო, როგორც ქვეყანა და მთელი ქართველი საზოგადოება ზის ბომბზე! ეს არის „თერმობირთვული საინფორმაციო ბომბი“, რომელიც შეიძლება აფეთქდეს წინასაარჩევნოდ და ყოველივე გაანადგუროს!..

თუ გახსოვთ, ათეული წლების წინათ ბევრს მსჯელობდნენ იმაზე, შეიძლებოდა თუ არა საბჭოთა კავშირის დროინდელი „კგბ“-ს საიდუმლო მასალების გამოქვეყნება (რაც დარჩა საქართველოში და ვერ მოასწრეს გატანა), რომლებიც შეიცავდნენ ინფორმაციას, თუ ვინ, რომელი „ცნობადი სახე“, ცნობილი პოეტი, სასიქადულო მწერალი, საყვარელი მსახიობი, სპორტსმენი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე თანამშრომლობდა „სუკ“-თან.

მაშინ ბევრი ლუსტრაციის შესახებ კანონის დაუყოვნებლივ მიღებას მოითხოვდა იმ საბაბით, რომ „სიმართლე უნდა ითქვას რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს“. მაგრამ აღმოჩნდნენ ჭკვიანი ადამიანები, ვინც გაგვაფრთხილა: საქართველოში (!) ამ სიმართლის გამოქვეყნება იმ წამლის ფუნქციას შეასრულებს, რომელიც კი არ განკურნავს, არამედ მოკლავს! ეს მასალები დაანგრევს და გაანადგურებს საზოგადოებას!

ჩეხურ საზოგადოებას არ დაანგრევდა, პოლონურ საზოგადოებას ვერ დაანგრევდა და ვერც დაანგრია, მაგრამ ქართველ საზოგადოებს, ჩვენი სპეციფიკის, ცნობიერების გათვალისწინებით, სრულიად დაანგრევს და მოსპობს!

ამჟამინდელი საფრთხე ბევრად უფრო მომაკვდინებელია, ვინაიდან უსასრულოდ შეიძლება ვიკამათოთ იმაზე, არის თუ არა „ჩარეული“ დღევანდელი ხელისუფლება, ან წინა ხელისუფლება.. თუმცა ერთი რამ აბსოლუტურად ცხადია: ათასობით ფაილი, რაც ცნობადი სახეების (მათ შორის პოლიტიკოსების) პირად ცხოვრებას ეხება, აღმოჩნდა ისეთი გარეწარი და ნამუსგარეცხილი ადამიანების ხელში, რომელთაც ვერავინ და ვერაფერი შეაკავებთ.

* * *

რაც შეეხება მოტივს: ყველა, რასაკვირველია, პირველ რიგში პოლიტიკურ მოტივზე საუბრობს. არადა, სულაც არ არის გამორიცხული, იყოს ბინძურად მერკანტილური მოტივიც: რაღაც ჯგუფი, რომელიც ამ ჩანაწერებს აკეთებდა, ან აკოპირებდა, ან ვითომ „განადგურების“ შემდეგ დააკოპირა, მერე ქვეყნიდან წავიდა თუ გაიქცა, შესაძლოა, ცდილობდეს მასალის გამოყენებას ელემენტარული გამოძალვისთვის.

არც პოლიტიკური მოტივია გამორიცხული რომელიმე მხრიდან. არგუმენტები ამ დისკურსში ორივე მხარეს აქვს.

წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ექს-პრეზიდენტ სააკაშვილის ჩათვლით, ხშირად დაუსვამთ ერთი შეხედვით ლოგიკური კითხვა: კი ბატონო, აკეთებდნენ ჩვენი სპეცსამსახურები ამგვარ ჩანაწერებს, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების დროს, ესე იგი 2012 წლის არჩევნებამდე, ვინმეს თუ გსმენიათ რაიმე ინტიმური ჩანაწერების შესახებ? სადმე თუ გაჟონილა? სადმე თუ გამოქვეყნებულა?

ამ კონტრბრალდების ლოგიკა „ცოტა არ იყოს“ უცნაურია: ესე იგი, რაკი ხელისუფლებიდან გაგვიშვით, ჩვენ უკვე აღარ ვაგებთ პასუხს იმაზე, თუ ვინმე, რომელიმე ექსაგენტი ამ მასალებს უცხოეთში წაიღებს და მერე შანტაჟისთვის გამოიყენებსო. არადა, მთავარი ეს კი არ არის: მთავარი თვით ჩანაწერთა მოპოვების კანონიერებაა და სტილი, რომლითაც სპეცსამსახურები მაშინ მოქმედებდნენ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფარული თვალთვალი სასამართლოს ფორმალური სანქციით ხორციელდებოდა, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში სანქციაც არ არსებობდა. და, საერთოდ, არ არსებობდა არანაირი ლეგიტიმური საფუძველი – პოლიტიკურის გარდა.

გახსოვთ „ხლისტების სოფელი?!“

ხოლო დღევანდელი ხელისუფლების (და არა წინა ხელისუფლების) პასუხისმგებლობაა, მსოფლიო შეძრას, საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებად აქციოს, ოღონდ კი დაადგინოს, რა ხდება, ბოლოს და ბოლოს, „ვინ“, „როდის“, „სად“, „როგორ“, „რა მიზნით“ აკეთებს ამას და ასე შემდეგ.

კეთილი ინებეთ, ჟურნალისტებისკენ კი ნუ იშვერთ ხელს (თუნდაც ნამდვილად დაშვებული შეცდომისთვის), არამედ ვინც „გადაიღო“, ვინც „გაიტანა“, ვინც „იყენებს“ – ისინი გამოავლინეთ და დასაჯეთ!

* * *

თუ სწორია ვერსია, რომ ამ ჩანაწერებს ექს-აგენტები იყენებენ ფულის გამოძალვისთვის, მაშინ თითქოს არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს ამკრძალავ ზომებს, რათა ასეთი ინფორმაცია არ ვრცელდებოდეს საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებებით, ვინაიდან ოჯახის წევრთა რეაქცია არანაკლები საფრთხეა.

დემოკრატიულ საზოგადოებაში, პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ანონიმურობა დაცულია მხოლოდ ოჯახში. სხვა ყველაფერი უნდა იცოდეს საზოგადოებამ, ვინაიდან პოლიტიკოსი არის ადამიანი, რომელიც ისწრაფვის ხელისუფლებისკენ, ანუ შეეძლება გადაწყვიტოს სხვა ადამიანების ბედი. ამიტომ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად გულწრფელი და ზომიერია პოლიტიკოსი.

თუმცა, თავისთავად ის, რომ ამ სიბინძურის გავრცელებამ ასეთი რეაქცია გამოიწვია და საყოველთაოდ დაიგმო, მათ შორის ჟურნალისტების მიერ, ძალიან მნიშვნელოვანია: მართლაც, ერთადერთი საშუალება, პოლიტიკურ შანტაჟს წინ აღვუდგეთ, ისაა, არავინ მოახდინოს მისი ტირაჟირება, ყველამ დაიცვას დუმილი და აზრი არ ჰქონდეს (ყოველ შემთხვევაში განმსაზღვრელი აზრი არ ჰქონდეს) პოლიტიკური შანტაჟის ამ ოდიოზურ ფორმას.

ხელისუფლებამ როგორც არ უნდა მოინდომოს, თანამედროვე ტექნოლოგიურ, მათ შორის კომუნიკაციურ სივრცეში ამგვარი ინფორმაციის დაბლოკვა ვერ მოხერხდება: Youtube-მა შეიძლება მოხსნას და მოხსნის კიდეც, თუმცა უამრავი სხვა საიტი არსებობს და ინტერნეტზე ხომ ვერ ვიტყვით უარს? ბოლოს და ბოლოს, ჰაკერული მულტიპლიკაციური პროგრამებით, ინდივიდუალურ მეილებზე გააგზავნიან და ასე შემდეგ.

ცუდი შედარებაა, მაგრამ ავთვისებიან დაავადებას ჰგავს, რომელიც შეიძლება წლობით და ათწლეულებითაც კი შეაკავო, თუმცა სრულიად განკურნება თითქმის შეუძლებელია, რაკი ქრონიკული ავადმყოფობაა.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საგულისხმო ისაა, რომ, ქართველმა საზოგადოებამ, ამ შემთხვევაში, გარკვეული ღირებულებებისადმი მკაცრი ლოიალობა გამოამჟღავნა: საფრანგეთში ან ამერიკაში სულაც არ იქნებოდა ასეთი რეაქცია. იქ ანალოგიურ შემთხვევაში განსხვავებული მიდგომა აქვთ, რომლის დედააზრი ასეთი ფორმულით შეიძლება გამოიხატოს:

დემოკრატიულ საზოგადოებაში, პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ანონიმურობა დაცულია მხოლოდ ოჯახში. სხვა ყველაფერი უნდა იცოდეს საზოგადოებამ, ვინაიდან პოლიტიკოსი არის ადამიანი, რომელიც ისწრაფვის ხელისუფლებისკენ, ანუ შეეძლება გადაწყვიტოს სხვა ადამიანების ბედი. ამიტომ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად გულწრფელი და ზომიერია პოლიტიკოსი.

აქედან გამომდინარე, ბერლინის მერმა, გერმანიის სააგრეო საქმეთა მინისტრმა, სხვა ცნობილმა პოლიტიკოსებმა, დიდი ხანია, ოფიციალურად განაცხადეს, რომ არიან გეები. არავინ მოუტყუებიათ, არაფერი დაუმალავთ და ამას სულაც არ უმოქმედია მათ პოლიტიკურ კარიერაზე.

ამგვარ მიდგომაში არის ძალიან ცინიკური, თუმცა რაციონალური მარცვალი. მაგრამ ქართველი საზოგადოების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისთვის ეს სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა!

როგორც ჩანს, სწორედ იმიტომ, რომ ოჯახური ღირებულებები, ოჯახის საქმეებში სრული ჩაურევლობა და ამ თემებით ნებისმიერი მანიპულაცია ქართველებმა თვით ამ ღირებულებებზე, ესე იგი იდენტობაზე შეტევად მიიჩნიეს.

და ვერანაირი მოსაზრება პოლიტიკოსის გულწრფელობა-არაგულწრფელობის თაობაზე, ამ ჯანსაღ დამოკიდებულებას ვერ შეცვლიდა.

ქართველებმა თქვეს: არ გვინდა ვიყოთ ჭაბუა ამირეჯიბის აღწერილი „ხლისტების სოფელი“, რომელიც სიბინძურით იკვებება!

ამგვარი მიდგომა, ჩვენს პირობებში ბევრად რაციონალურიცაა, ვიდრე ევროპელთა დამოკიდებულება (გავიხსენოთ საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის „ადიულტერთან“ დაკავშირებული სკანდალი), ვინაიდან, ყველაფერთან ერთად, სწორედ ასეთი ჯანსაღი მიდგომა გამორიცხავს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას და გამანადგურებელი პროცესების პროვოცირებას ჩვენს მყიფე სახელმწიფოებრივ წონასწორობაში, როდესაც ბევრი რამ ისედაც ბეწვზე ჰკიდია.

დავით ავალიშვილი

◎ ყველაზე აქტუალური თემები

ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმისთვის მილიონები გამოიყო

მთავრობის ადმინისტრაციაში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ელჩი იანოშ ჰერმანმა 14 მილიონი ევროს ოდენობის საფინანსო შეთანხმებას („ტექნიკური თანამშრომლობის მექანიზმი“ Technical Cooperation Facility—TCF) მოაწერეს ხელი.

შეთანხმება ასოცირების შეთანხმების, სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმისა და საქართველო-ევროკავშირს შორის არსებული რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების პროცესში სახელმწიფო უწყებების საექსპერტო მხარდაჭერას ისახავს მიზნად. ევროინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ევროკავშირის ფინანსურ დახმარებას, რომელიც წლების განმავლობაში ევროკავშირის სხვადასხვა სახის პროგრამებისა და ინტრუმენტების საშუალებით ხორციელდება.

2007 წლიდან ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამების დაფინანსება, რომელთა მიზანია საჯარო უწყებების ინსტიტუციური განვითარება. ესაა TA-ის (ტექნიკური დახმარების პროგრამა) პროგრამები, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის შესაბამის ქვეუწყებებთან მონათესავე ინსტიტუტები ახორციელებენ თანამშრომლობის პროექტებს, გამოცდილების გაზიარებას. ეს არის ტექნიკური დახმარების პროექტები, რომლის ფარგლებშიც უკვე კერძო კომპანიები ახორციელებენ შესაბამის მხარდაჭერას სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის.

უწყებაში აცხადებენ, რომ ამ რესურსის ათვისება მოხდება ევროკავშირის დახმარების ინსტიტუციური განვითარების პროგრამებით, როგორიც არის:

საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამა (TWINNING), რომელიც ითვალისწინებს საქართველოს საჯარო უწყებების და ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამის ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას, კანონმდებლობის ჰარმონიზაციას და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას; ტექნიკური დახმარების პროგრამა (TA), რომელიც გულისხმობს კერძო საკონსულტაციო კომპანიის მიერ საექსპერტო მხარდაჭერის გაწევას მიმღები უწყებისათვის.

გაეროში გენდერული თანასწორობის შესახებ მსჯელობენ

ნიუ-იორკში გაიხსნა გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის მე-60 სესია, რომლის მთავარი თემაა ქალთა გაძლიერების კავშირი მდგრად განვითარებასთან. სესიის ფარგლებში გაიმართა დისკუსია მრგვალ მაგიდასთან, სადაც სიტყვით გამოვიდა პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში სოფო ჯაფარიძე.

მისი განცხადებით, საუწყებათაშორისო კომისიის დებულებაზე მუშაობა დასრულების ეტაპზეა. საბჭოს შემადგენლობაში იქნებიან შესაბამისი სამინისტროების მინისტრთა მოადგილეები. კომისიის მანდატი სხვა საკითხებთან ერთად გავრცელდება გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე, გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობაზე ყველა სამინისტროში და გენდერული მეინსტრიმინგის პოლიტიკის შემუშავებასა და გადახედვაზე, სქესის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებაზე, ანალიზსა და კვლევაზე, გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების საკითხების თაობაზე წინადადებების შემუშავებასა და საქართველოს მთავრობისთვის განსახილველად წარდგენაზე, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) და შესაბამისი სპეციალური მომხსენებლების, ასევე გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის რეკომენდაციებისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მიზნით სპეციალური ღონისძიებების/პოლიტიკის შემუშავებაზე.

სოფო ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მრავალი წლის განმავლობაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის არარსებობა აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციების წუხილის საგანი იყო. მისი განმარტებით, აღნიშნული ინიციატივა ადასტურებს საქართველოს ხელისუფლების ურყევ ნებას გაითვალისწინოს გენდერული თანასწორობის საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობს გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელი და საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე.

◎ სპეციალისტის აზრი

ნუ გადავაქცევთ პურს აფთიაქის წამლად!

პური პირველადი პროდუქტია და მასთან დაკავშირებული საჭირბოროტო საკითხები მკითხველს ყოველთვის აინტერესებს. ამჟამად ერთი ასეთი საკითხია დღის წესრიგში — ფორტიფიკაციის, ანუ ფქვილში ვიტამინებისა და სხვადასხვა დანამატების თემა.

განსაკუთრებით სხვადასხვა უცხოური პროგრამები აქტიურობენ და ცდილობენ პურის მეშვეობით საკვებში მასობრივი რკინის, იოდიზებული მარილის, ფოლიუმის მჟავის შეტანას, რასაც განვითარებად და ისეთ ქვეყნებში ახორციელებენ, სადაც ამის აუცილებლობაა. ამავე დროს ევროპიდან ფქვილისა და პურის ტექნიკური რეგლამენტები შემოდის, რაც, ერთი მხრივ, ევროპისკენ, ხოლო, მეორე მხრივ, განვითარებადი ქვეყნებისა და აფრიკისკენ გვახედებს. მართალი გითხრათ, ასეთი მიდგომები გარკვეულ დაბნეულობას იწვევს. პური მასობრივი მოხმარების არაჩვეულებრივი პროდუქტია და მისი, ასე ვთქვათ, აფთიაქად გადაქცევა ქვეყნის ჩამორჩენილობის ნიშანია.

პურის ფორტიფიკაცია, ანუ პურში დანამატების შეტანა ახალი არ გახლავთ. ჯერ კიდევ 1938 წელს საბჭოთა კავშირში დაიწყეს B ჯგუფის ვიტამინებით ფქვილის გამდიდრება. 3 წლის შემდეგ მსგავსი პროგრამა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც განხორციელდა. ამას ორგანიზებას უკეთებდნენ თავად ფქვილისგან დამამზადებლები, რომლებიც მოუწოდებდნენ მოსახლეობას, შეიძინეთ ასეთი ფქვილისგან გამომცხვარი პური და თქვენ საჭირო ვიტამინებს მიიღებთო. 60-იან წლებში კოსმოსურ პროდუქტებშიც იყენებდნენ დანამატებს კოსმონავტების ენერგეტიკის გასაზრდელად. თუმცა 70-იან წლებში მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ თუ ასეთი გამდიდრებული პური ერთ ჭამაზე 1 კილოგრამზე ნაკლები მიიღე, საჭირო კონცენტრაცია ვერ მიიღწევა.

დღეს მეცნიერები, როგორც უკვე ვთქვით, მიკრონუტრიენტებით ფქვილის გამდიდრებას განვითარებად ქვეყნებს სთავაზობენ. თუ არ ვცდები, მას ბილგეიცის პროგრამა ერქვა,რომელიც ყოფილ საბჭოთა სივრცეში (ტაჯიკეთსა და თურქმენეთში) განხორციელდა. ამ 5 წლის წინათ ჩვენშიც მოხდა ფქვილის რკინით გამდიდრება, რაშიც საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა, თუმცა პრობლემა პრობლემად დარჩა. ისევე როგორც იოდიზებული მარილით გამომცხვარი პურის მეშვეობით ვერ მოსპეს ჩიყვის პრობლემები, ვერც რკინადეფიციტური ანემია შემცირდა.

ვისაც არ ესმის ამ პროგრამების აბსურდულობა, მინდა, კიდევ ერთხელ განვუმარტო: პურში ადვილად აქროლადი მჟავების და რეაქტივების შეტანა სრული უაზრობაა, რადგანაც ის ცხვება 200-230 გრადუსზე, არ მიეკუთნება რისკ ჯგუფის საკვებ პროდუქტებს და ამდენად მისი აფთიაქად ქცევა მიუღებელია. პურის ამ ეგრეთწოდებულმა „გამდიდრებამ“ მოითხოვა ტექნიკური რეგლამენტის შემოღება, რომელიც მოითხოვს, მომხმარებელმა იცოდეს რა რაოდენობის და რა დანამატებია (ფორტიფიკანტები) გამოყენებული პროდუქტში. ეს თავის მხრივ პურის მწარმოებლებისგან მოითხოვს საჭირო შესაფუთი მასალის შეძენას და შესაბამის ანოტაციას. დღეს პურში ყველაზე ძვირი მეწარმეებს სწორედ შესაფუთი მასალა უჯდებათ. ამას ემატება არარეალიზებული პროდუქციის პრობლემა, რაც ჩვენში ჩვეულებრივი მოვლენაა. საინტერესოა იმ ექიმებს, რომლებიც ამ პროგრამის კონსულტანტებად ითვლებიან, წარმოუდგენიათ, თუ რა დღეში ჩააყენებენ მეწარმეებს, რომ არაფერი ვთქვათ ჯანმრთელ ადამიანებზე, რომლებსაც სულაც არ ჭირდებათ ფოლიუმის მჟავა.

სწორედ ამიტომ გთავაზობთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უახლოეს გაიდლაინს ფორტიფიკაციასთან დაკავშირებით, რომლისგან თავშესაკავებლად რამდენიმე მიზეზს ასახელებს:

1. არ არსებობს კვლევა მოსახლეობის რა პროცენტში რკინის რა ტიპის დეფიციტია. გაიდლაინის მიხედვით პოპულაციაში დეფიციტი უნდა აჭარბებდეს 50 პროცენტს, ორსულებში და ბავშვებში 40 პროცენტს. ჩვენთან, დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით, ანემიის პროცენტი 2014 წელს ზოგადად მოსახლეობაში 1,8 პროცენტს აჭარბებდა, ბავშვებში კი 0,5 პროცენტს.

2. საერთაშორისო სტანდარტით პროდუქტების ფორტიფიცირება მოითხოვს სერიოზულ დანახარჯს, რაც მის გაძვირებას გამოიწვევს. აუცილებლად უნდა იყოს დაცული მომზადების ტექნოლოგია, შეფუთვის ტექნოლოგია, ვადები (სამი დღის შემდეგ ფორტიფიცირებული პროდუქტი ამოღებული და გაუვნებელყოფილი უნდა იქნას ქსელიდან, რადგან საშიშია გამოსაყენებლად, ხელს უწყობს ორგანიზმში ავადობის ზრდას და არა პრევენციას), პროცესის მკაცრი მონიტორინგი.

3. საჭიროებს საკანონმდებლო ბაზის და კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის მომზადებას.

ეს ყველაფერი დამატებითი ხარჯია, რაც ამ ეტაპზე აბსოლუტურად მიუღებელია, პროდუქტის გაძვირება პოლიტიკურად და სოციალურად გაუმართლებელია. გაუძვირებლად კი უხარისხო და საშიში იქნება ამ პროცესის განხორციელება.

მალხაზ დოლიძე,

პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ

ქ/ს „მარნეული-220“-სა და ქ/ს „მარნეული-500“-ს შორის 220კვ. ეგხ „მარნეული“-ს მშენებლობის პროექტი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იწყებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის (გზშ-ს) საჯარო განხილვას.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2016 წლის 5 მაისს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში 14:00 სთ-ზე მისამართზე: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს 220კვ. ეგხ „მარნეული“-ს მშენებლობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება ქ/ს „მარნეული-220“-სა და ქ/ს „მარნეული-500“-ს შორის კავშირი.

განსახილველი გზშ-ს ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთათვის ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ — მისამართი: ქ.თბილისი, ბარათაშვილის №2, III სართული, ოთახი №304 (ამობეჭდილი ვერსია), ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებ-გვერდზე www.gse.com.ge
- ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა — მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 45 დღისა. წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, III სართული, ოთახი №304, ტელ. 2 510 264, საკონტაქტო პირი: ზეზვა ხვედელიძე, ელ. ფოსტა: zezva.khvedelidze@gse.com.ge

◎ საზღვაო ტვირთბრუნვა

რომელი აჯობებს , ანაკლია თუ ფოთი?

ღრმაწყლოვანი პორტების პერსპექტივა საქართველოში

საქართველოს სახელმწიფო 2 წელზე მეტხანს ეძებდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ინვესტორს, რომელიც სულ ერთი თვის წინათ გამოვლინდა. 2016 წლის 5 თებერვალს გახდა ცნობილი, რომ ანაკლიის პორტს ანაკლიის განვითარების კონსორციუმი ააშენებს, რომელიც თიბისი ჰოლდინგისა და ამერიკული „კონტი ინტერნეიშენალის“ მიერ მიერ დაფუძნებული ერთობლივი კომპანიაა. გადაწყვეტილებიდან სულ ერთი თვის თავზე ღრმაწყლოვანი ნავმისადგომის მშენებლობის განზრახვის შესახებ მოულოდნელად აცხადებს ფოთის პორტის მფლობელი კომპანია და არც მალავს, რომ მისი მთავარი კონკურენტი ანაკლიის პორტია.

ამჟამად საქართველოში მოქმედებს ოთხი ნავსადგური: **ბათუმი** (ოპერირებს ყაზახური კომპანია იჯარის საფუძველზე. ნავსადგური ძირითადად ამუშავებს თხევად ტვირთს, ასევე, მშრალ ნაყარ ტვირთებსა და კონტეინერებს); **სუფსის ნავთობტერმინალი,** რომელიც BP-ის საკუთრებაა; **ფოთის პორტი,** რომელიც ამჟამად დანიური „Maersk Group“-ის დამოუკიდებელი ბიზნესსუბიექტის — „APM Terminals“-ის - საკუთრებაა (ნავსადგური ძირითადად ამუშავებს მშრალ ნაყარ ტვირთებსა და კონტეინერებს); ასევე ყულევის ნავსადგური, რომელიც SOCAR-ის საკუთრებაა და უმეტესად თხევად ტვირთებს ამუშავებს.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ არსებული ნავსადგურების სიღრმე არ არის საკმარისად დიდი მოცულობის, კერძოდ, PANAMAX ან VLCტიპის გემების მისაღებად. შესაბამისად, საქართველოში დადგა შავი ზღვის ახალი, ღრმაწყლოვანი ნავსადგურის, ანაკლიის ნავსადგურის აშენების საჭიროება, რომელსაც ექნება სტრატეგიული ადგილმდებარეობა და პოტენციალი, გაუმკლავდეს ევროპასა და აზიას შორის, ასევე ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ტვირთბრუნვას. სწორედ ეს მოცემულობა ქმნის მოთხოვნას ახალ ღრმაწყლოვან პორტზე, რომლისთვისაც არანაკლებად საინტერესო სტრატეგიული არგუმენტია აფხაზეთთთან სიახლოვე.

ახლა მედიით ფოთის პორტის მფლობელები თავიანთი ახალი გეგმების შესახებ აკეთებენ განცხადებას და არცთუ ორაზროვნად მიანიშნებენ, რომ კონკურენციის გაწევას სწორედ ანაკლიის პორტისთვის გეგმავენ. მეტიც, მედიასთან საუბარში „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი აცხადებს, რომ მათი კომპანიის განზრახვის გაჟღერება, შეტყობინება უნდა იყოს ანაკლიის პორტის პოტენციური ინვესტორებისთვის.

მედიაში „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილმა განაცხადა, რომ ფოთის პორტის მფლობელი კომპანია APM Terminals-ი ფოთში ახალი ნავსადგურის აშენებას აპირებს. კომპანიამ უკვე დაასრულა ახალი ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებელობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესწავლა. მათივე განმარტებით, გაფართოების გეგმა რამდენიმე ეტაპისგან შედგება. პირველი ეტაპი, რომელიც, სავარაუდოდ, 2018 წელს დასრულდება, მოიცავს ორი ახალი ღრმაწყლიანი ნავმისადგომის მშენებლობას, სადაც წლიური გამტარუნარიანობა იქნება ერთი მილიონი TEU, ხოლო ნავმისადგომზე შესაძლებელი იქნება 9,000 TEU სიმძლავრის გემების მიღება.

კომპანიის ინფორმაციით, პროექტის დასრულების შემდგომ ფოთის მეგაპორტის წლიური ტვირთბრუნვის სიმძლავრე იქნება 50 მილიონი ტონა და 2 მილიონი TEU კონტეინერი. ფოთის მეგაპორტში, რომლის სიღრმე იქნება 16 მეტრამდე, შესაძლებელი გახდება შავ ზღვაში მოძრავი ყველაზე დიდი გემების შემოსვლა.

პირველ ეტაპზე იგეგმება 250 მილიონი დოლარის ინვესტიცია. როგორც APM Terminals-ში აცხადებენ, კომპანია გამჭვირვალობისა და პროფესიონალიზმის დაცვით უახლოეს მომავალში ტენდერსაც გამოაცხადებს.

შესაბამისად, ფოთის პორტი ოფიციალურად აცხადებს, რომ კონკურენციაში შედის ანაკლიის პორტთან. რა შედეგებით დამთავრდება ეს კონკურენცია და რამდენად რეალისტურია ქვეყანაში ორი ღრმაწყლოვანი პორტის არსებობა, რაც მთავარია, მათთვის ტვირთების მოზიდვა, ამას, ალბათ, მომავალი და რეალური ინვესტიციების მასშტაბი ცხადყოფს.

რადიო „თავისუფლება“

კარგად რომ აშენებდნენ, იმიტომაც ჩამოინგრა

პუშკინის ქუჩაზე საავტომობილო მოძრაობა დროებით შეზღუდულია. მერიის ინფორმაციით, შეზღუდვა ღამის საათებში გზის საყრდენი კედლის ჩამონგრევამ გამოიწვია. ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ კედელი რამდენიმე წლის წინ სამშენებლო ნორმების დარღვევით აიგო, კერძოდ, კედელს არ ჰქონდა შესაბამისი საძირკველი, რაც მოკლე დროში მისი ჩამონგრევის მიზეზი გახდა.

კედლის ჩამონგრევისას სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობდა, შესაბამისად, არავინ დაშავებულა.

ამ დროისთვის კედლის დემონტაჟი და გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. საავტომობილო მოძრაობა პუშკინის ქუჩაზე დღეს აღდგება.

დედამიწის ზურგზე

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა რუსეთთან ურთიერთობათა დალაგების ხუთი პრინციპი განსაზღვრეს

ამ საკითხში ოცდარვავე მინისტრი ერთსულოვანი იყო, ამასთან უპირველესი მოთხოვნა, რომელსაც ევროკავშირი აყენებს, მინსკის შეთანხმებათა სრული რეალიზაციაა.

ვენესუელაში სტუდენტური არეულობები სასადილოში საჭმლის უკმარისობის გამო დაიწყო

ინციდენტი ქალაქ მერიდას ანდების უნივერსიტეტის კამპუსში მოხდა. სტუდენტთა უკმაყოფილება სურსათის უკმარისობის გამო სასადილოს დახურვის ცნობამ გამოიწვია.

მიანმას პრეზიდენტი პირველად არასამხედრო პირი გახდა

ქვეყნის ახალი პრეზიდენტი 69 წლის მწერალი თჰინ ჯო, დემოკრატიისთვის ეროვნული ლიგის ლიდერისა და ნობელის პრემიის ლაურეატის აუნ სან სუ ჯის ახლო მეგობარი და თანამებრალი გახდა.

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ტერორიზმის ბრალდებით ჟურნალისტებისა და აქტივისტების პასუხისგებაში მიცემის წინადადება წამოაყენა

ერდოღანმა პარლამენტს მოუწოდა გადაისინჯოს ტერორიზმთან ბრძოლისადმი მიდგომა, პასუხისმგებლობა განავრცოს ტერორისტული აქტების სულისჩამდგმელ და მხარდამჭერ პირებზე.

ისლამური სახელმწიფოს სამხედრო ლიდერი ომარ ალ-შიშანი თარხან ბათირაშვილი სირიის პოსპიტალში გარდაიცვალა

ტელეარხ CNN-ით ეს ინფორმაცია მაღალი რანგის ორმა ამერიკელმა ჩინოსანმა გაავრცელა. ალ-შიშანი ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი იყო, რომელმაც შარშან წლის დასაწყისში რუსეთზე შურისძიების განცხადება გააკეთა საქართველოზე 2008 წლის თავდასხმის გამო.

რუსეთ-ევროპის მისია EXOMARS-ი დედამიწასთან კავშირზე გამოვიდა

ფრენის მართვის ცენტრის ცნობით, ტელემეტრიული მონაცემები იმას მოწმობენ, რომ საფრენი კოსმოსური აპარატი მარსისკენ გზაზე სწორი ტრაექტორიით მიფრინავს.

ობამამ პირობა დადო, რომ კუბის მიმართ ემბარგოს ამერიკის მომდევნო პრეზიდენტი მოხსნის

პრეზიდენტის აზრით, კუბისთვის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწესებული ემბარგოს მოხსნის წინააღმდეგი პრეზიდენტობის არც ერთი ამჟამინდელი კანდიდატი არ იქნება, თუმცა კი ამას ზოგიერთი რესპუბლიკელი არ იზიარებს.

შოიგუმ რუსეთის შეიარაღებული ძალების სირიიდან გამოყვანა ბრძანა

უკვე დაიწყო თვითმფრინავების რუსეთში გადმოსაფრენად მომზადება. ამასთან, ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას,

რომ სირიაში რუსეთის ჯარის მიერ მიღწეულ წარმატებებზე ჟენევის მოლაპარაკებები მოწმობს, რომლებიც ასევე 15 მარტს დაიწყო.

ჩრდილოეთ კორეა კვლავ ბირთვული იარაღით იმუქრება „ამერიკის მტრული პოლიტიკის გამო“

არადა, კიმ ჩენ ინის ხელისუფლების მიერ ბირთვული იარაღის ბოლო გამოცდის შემდეგ, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობამ დაგმო, სულ ორი თვე გავიდა.

გაეროს უშიშროების საბჭომ მოიწონა რუსი სამხედროების სირიიდან შინ დაბრუნების გადაწყვეტილება

უშიშროების საბჭოში მიიჩნევენ, რომ რუსეთის პრეზიდენტის ეს ნაბიჯი სირიაში ვითარების პოლიტიკური გზით მოგვარების სურვილს მოწმობს.

ბოლოს და ბოლოს, პოროშენკომ ვერ გაბედა თანამდებობიდან სააკაშვილის გათავისუფლება!

უკრაინულმა გამოცემამ odessit.ua-ს უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის სანდო წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ოდესის გუბერნატორის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითვალისწინებს.

გამოცემის ინფორმაციით, სააკაშვილის გადაყენების შესახებ ბრძანებაში თარიღი ღიად არის დატოვებული, რადგან მოქმედი გუბერნატორის შემცვლელის კანდიდატურასთან დაკავშირებით ქვეყნის პრეზიდენტს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია. გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიხეილ სააკაშვილის შემცვლელად რამდენიმე კანდიდატურა განიხილება, რომელთა შორის ცნობილი უკრაინელი პოლიტიკოსები არიან.

მოგვიანებით, უკრაინის პრეზიდენტის პრესმდივანმა სვიატოსლავ ცეგოლკომ მიხეილ სააკაშვილის ოდესის გუბერნატორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია სოციალური ქსელიდან უარყო.

უკრაინის პრეზიდენტის პრესმდივანმა ასევე აღნიშნა, რომ პეტრო პოროშენკო მიხეილ სააკაშვილს ტელეფონით ესაუბრა და მასთან ერთად რეგიონის განვითარების პროექტები განიხილა.

SIC! — დანაქადნები ეძახე შენ!

პუტინი კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) ქრისტიანებისთვის დაბრუნებას გეგმავს

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, ანკარის საომარი განწყობისა და საუდის არაბეთთან მისი დამლუპველი ალიანსის გათვალისწინებით, სირიაში გრძელვადიანი ზავი საეჭვოა.

„იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი არ შეწყვეტს სირიის „ალ-ქაიდას“ შტოს მხარდაჭერას, სერიოზულად ვაპირებ, ბოლომდე მივიყვანო უკანასკნელი მეფის ნიკოლოზ მეორის მიერ დაწყებული საქმეები. პირველი მსოფლიო ომის დროს ის ცდილობდა კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) ქრისტიანებისათვის დაბრუნებას, თუმცა ბედმა უმტყუნა“, — განაცხადა პუტინმა.

როგორც ჩანს, სტალინის შემდეგ პუტინს ახალი ფავორიტი გამოუჩნდა — ბოლშევიკების მიერ ტრაგიკულად დახვრეტილი რომანოვების ოჯახის მეთაურის, იმპერატორ ნიკოლოზ რომანოვის სახით.

რას ნიშნავს პუტინის განცხადება კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) ქრისტიანებისათვის დაბრუნების თაობაზე, როგორ აღიქვამენ ამას მუსლიმანები და ხომ არ მოისხა პუტინმა 21-ე საუკუნის ჯვაროსნის მანტია?!

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ეჭვობს, ასეთი ფეთქებადი განცხადება გაეკეთებინოს პუტინს, რადგან მაშინ საინტერესოა, პუტინი რა პასუხს გასცემს საკუთარ მუსლიმანებს, რომლებიც რუსეთის მოსახლეობის 20%-ს შეადგენენ?! თუკი პუტინმა მუსლიმანი ტერორისტების განადგურება იგულისხმა, მაშინ მას, ისტორიის მეტნაკლებად მცოდნეს, ის მაინც უნდა სცოდნოდა, რომ ნიკოლოზ მეორე ტერორისტებს არ ებრძოდა. მეტიც, ნიკოლოზ მეორეს არ დაუწყია ეგ საქმე და იგი ნიკოლოზამდე ბევრად ადრე, ეკატერინემ დაიწყო.

„დღეს მსოფლიოში მილიარდნახევრამდე მუსლიმანი ცხოვრობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თურქეთი დღეს არ არის ისე ხელწამოსაკრავი. ევროპას ჟანგბადივით სჭირდება თურქეთი. ამიტომ ისე გამოდის, რომ პუტინი ერთი ხელით მუსლიმანებს ებრძვის, მეორე ხელით კი ყველაფერს აკეთებს, რათა თურქეთი ევროპისთვის „საჭირო“ გახდეს, პუტინი და ასადი ერთდროულად აგრძელებენ მუსლიმანების გენოციდს, რათა რაც შეიძლება მეტი ლტოლვილი შეუსიონ ევროპას. დღეს ხომ რუსეთის სტრატეგიაა ევროკავშირის დაშლა. როგორც 10-15-20-30 წლის წინათ საბჭოთა კავშირი აფინანსებდა ულტრამემარცხენე ძალებს ევროპაში, ახლა პუტინი აფინანსებს ულტრამემარჯვენე ძალებს — მარი ლე პენს და სხვებს, რომლებიც გამოდიან ევროკავშირის დაშლის მოთხოვნით. ამჟამად პუტინი აფინანსებს ინგლისში იმ ძალებს, რომლებიც ზაფხულის რეფერენდუმზე მოითხოვენ ინგლისის გასვლას ევროკავშირიდან, ეს კი ევროკავშირის დაშლას ნიშნავს.

უფრო მეტიც, პუტინმა ახლა გახსნა ახალი ფრონტი. კერძოდ, ევროპაში მუსლიმანები ჩრდილოეთიდან, არხანგელსკიდან შედიან, რაც თითქოს წარმოუდგენელია. ეს ხომ საბერძნეთი და ბულგარეთი არ არის?! მუსლიმანები ჩადიან ჩრდილოეთ არხანგელსკში და იქიდან გადადიან ფინეთში. მთელ 2015 წელს რუსეთის ტერიტორიის გავლით, ფინეთში ჩავიდა მხოლოდ 500 ლტოლვილი მუსლიმანი, წელს კი, მხოლოდ იანვარში, 800 მუსლიმანი ჩავიდა. ასე რომ, პუტინის სტრატეგიაა, მეტი ლტოლვილი შეუსიოს ევროპას“, — აღნიშნა **სოსო ცინცაძემ** For.ge-სთან საუბარში.

ამასთან, განმარტა, რომ ნიკოლოზ მეორეს კი მხოლოდ სრუტეების დაბრუნება უნდოდა, რადგან სლავიანოფილები იყვნენ კონსტანტინოპოლში, ხოლო „მესამე რომი“ იყო მოსკოვი.

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, თუკი პუტინმა ნიკოლოზ მეორის მიერ დაწყებული საქმეების გაგრძელება მოინდომა, რომელიც თურმე პირველი მსოფლიო ომის დროს კონსტანტინოპოლის ქრისტიანებისათვის დაბრუნებას ცდილობდა, მაშინ ასეთი განცხადება უფრო პიარზეა აგებული. რეალურად კი, ვახტანგ ძაბირაძის აზრით, დღეს რუსეთი არც იმაზე ძლიერია, ვიდრე ნიკოლოზის დროს იყო და არც იმაზე გავლენიანი, ომის შემდგომ სტალინის დროს რომ გვახსოვს. დღეს რუსეთს ასეთი ძალა არ გააჩნია.

მანანა ნოზაძე

◎ ᲔᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!

ხოხბის ყერფოი რამეხი...

სოლომონის განძს,
კრეზის სიმდიდრეს,
ლეგენდად ოქროს,
ლალს მობრდღვიალეს,
მე მირჩევნია
ერთი ხოხობი,
ალაზანზე რომ შეიფრთხიალებს!
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ

ჩვენს სამშობლოში მის ტყეებსა და ველებში, მინდვრებსა და ჭალებში ბევრი ფრინველია, მაგრამ ყველასგან გამორჩეულია ხოხობი. თქმულების თანახმად, კოლხეთიდან არგონავტებმა ოქროს ვერძთან ერთად ეს მშვენიერი ფრინველიც გაიყვანეს და აქედან გაიცნო ის კულტურულმა კაცობრიობამ. ბერძნულ-რომაული მწერლების ცნობებიდან ჩანს, რომ მასზე დიდი მოთხოვნილება იყო, განსაკუთრებით ფაქიზი გემოვნების გურმანებში, რადგან აქვს უგემრიელესი ხორცი, კვერცხი და ულამაზესი ბუმბული. პირველად მისი მოშენება დაიწყეს საბერძნეთში, თუმცა, უშედეგოდ, რომაელების მცდელობა უფრო წარმატებული აღმოჩნდა, რომლის შემდეგ მთელ ევროპაში გავრცელდა. დღეს ხოხობს ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

გამოჩენილმა შვედმა ნატურალისტმა კარლო ლინეიმ (1707-1778 წ.წ.), რომელმაც 10000-ზე მეტი სახეობის ცხოველი და მცენარე აღწერა, ამასთანავე საფუძველი ჩაუყარა მცენარეთა და ცხოველთა სისტემატიკას. ხოხობს დაუმკვიდრა სახელი **phasianus cholhicus – კოლხური ხოხობი.** ხოხბის ორი სახეობა არსებობს: მწვანე, რომელიც ბინადრობს იაპონიაში და ჩვენი – კოლხური. განსაკუთრებით ლამაზია მამალი ხოხობი. ისინი იკვებებიან ძირითადად მცენარეული საკვებით, მწერებით, ხოჭოებით, ლოკოკინებით, პატარა ხვლიკებით, თაგვებით, აქტიურად ებრძვიან გველის წიწილებსა და თვით შხამიან გველებსაც. ძველად ჩვენი წინაპრები ხოხობს ციცართან ერთად იმიტომაც ამრავლებდნენ, რომ დაცული ყოფილიყვნენ გველებისგან, რომელნიც დღეს ასე მომრავლებულია ჩვენს ველ-მინდვრებში. სხვათა შორის, თურმე ადრე ხოხბის ფრთებს ეკლესიების შესამკობლადაც იყენებდნენ, რაზეც მიუთითებს იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა 1633-1649 წ.წ. (ჯერ გორში, შემდეგ – სამეგრელოში). „მათი ეკლესიების წინა კედლები და ხშირად შიდა კედლებიც შემკულია ირმის რქებით, ტახის ეშვებით და ხოხბის ფრთებით, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ფრიად სასიამოვნოა ამისთანებით ღმერთის სალოცავი სახლის შემკობა“ (ა. ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, გვ. 168).

ხოხობი ქართულ ფუტკართან, ქართულ ცხვრის ნაგაზთან, მეგრულ თხასთან, ხეჭეჭურთან, თურაშაულთან და სხვ., ერთად ჩვენი სამშობლოს ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს. უმძიმესი წარსულის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა შეძლო, შეენარჩუნებინა და დღევანდლამდე მოეტანა საკუთარი ფლორისა და ფაუნის მრავალი უძვირფასესი განძი. მოწინავე ქვეყნებში ყოველი ეროვნული ფენომენი მუდმივი ზრუნვის საგანია და ისინი თაყვანისცემის კულტს წარმოადგენს, რადგან სწამთ, რომ საკუთარ ფასეულობათა წარმოჩენა მათი დღის სინათლეზე გამოტანა-აფიშირება, რეკლამირება, პროპაგანდა, ადამიანების კონსოლიდაციის ერთ-ერთი მძლავრი იარაღია, მათ თვითდამკვიდრების ფუნქცია გააჩნია და ერთიანი კულტურული სივრცე შიდა ეთნოსების საზღვრების მოშლას უწყობს ხელს. ხოლო ნაციონალური სიმბოლოების, ემბლემების უარყოფა ან გულგრილობა იწვევს ეროვნული სახის გაქრობას. ამიტომ საკითხავია, მაგალითად, თუ რა სწერია ჩვენი სკოლის სახელმძღვანელოებში, ნაციონალური სიმბოლოების შესახებ?

აშშ-ში მოსწავლეები ყოველდღე ერთგულების ფიცს სდებენ სახელმწიფო დროშის წინაშე, სწავლობენ ნაციონალური სიმბოლოების, მაგ. თავისუფლების ქანდაკების, ეროვნული ფრინველის – არწივის, დროშის და სხვათა მნიშვნელობებს.

ლონდონის ტაუერის სასახლეში ინგლისის მეფის კარლ II-ს (1630-1685 წწ.) ბრძანებით მუდმივად დაასახელეს ყორნები. დღეს მასზე ზრუნავს სპეციალური რაზმი, რომლებიც, რომ იტყვიან, „ცივ ნიავს“ არ აკარებენ მათ. ფრთებს აჭრიან, საკვებს უმზადებენ, აკონტროლებენ მათ ჯანმრთელობას, გამრავლებას და საარსებო გარემოს. ანუ ყვავებს ზედ დაჰკანკალებენ, რადგან მათ სიმბოლური დატვირთვა გააჩნიათ. სწამთ, რომ სანამ სასახლეში იქნებიან ყორნები, მანამდე იარსებებს ბრიტანეთის სამეფო. **ჩვენ კი ულამაზესი ფრინველის მიმართ, რომელსაც პლანეტის მშვენება უწოდეს და ჩვენი დედაქალაქის სახეხატს წარმოადგენს, სრულ გულგრილობას ვიჩენთ. ჩვენი ბავშვები ხოხობს ზოოპარკში არ უნდა ეცნობოდნენ. ფილოსოფოსები ამბობენ, რომ მშვენიერება ღვთის ხილული გამოვლენაა და რომ ესთეტიკური მოთხოვნილებები უშუალო კავშირშია ზნეობრივ მოთხოვნილებებთან. აღზრდის მთავარი მიზანი კი ზნეობრივი სრულყოფილებაა. დღეს ხოხბის ქალაქი – თბილისი – ყვავ-ყორნების საჯიჯგნად არის გადაქცეული, არადა ყვავ-ყორნების მომრავლება პირდაპირი ნიშანია ქალაქში დანაგვიანების დონის გადიდებასთან.**

მეორე მხრივ, ჩვენი დიზაინერები უფრო მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ ნაციონალური ელემენტების, მაგალითად, ხოხბის ფრთების, ბუმბულების გამოყენებას ტანსაცმლის, ჩანთების თუ ლაბადების აქსესუარებში. გვჭირდება გონივრული სარეკლამო პოლიტიკა, ყოველივე რაც ჩვენ მეობას და ღირსებას წარმოაჩენს, დღის სინათლეზე უნდა გამოვიტანოთ და ის პოლიტიზებულიც კი უნდა იყოს. ასევე კარგი იქნება, თუ ჩვენს მოსწავლეებს ან სტუდენტებს ექნებათ რაიმე განმასხვავებელი ნიშანი, აქსესუარი ევროპულ შეხვედრებზე, ფესტივალებსა თუ შეჯიბრებებზე, გაგვიცნონ სხვებმა, როგორც ულამაზესი ფრინველის ქვეყნის წარმომადგენლები. ან რატომ არ უნდა გვქონდეს ქართული ფუტკრის დღე, ხოხბის დღე, ნუთუ წელიწადში ერთხელ მაინც არ უნდა გავუგოთ გემო ხოხბის ჩახოხბილს ქალაქის მცხოვრებლებმა?! საფრანგეთის მეფე ჰენრი IV-კეთილი ამბობდა: „მე მინდა, რომ ნებისმიერ ჩემ ქვეშევრდომ ფრანგ გლეხს კვირაობით მაინც ჰქონდეთ ქათმის სუპიო“. იქნებ, მომავალში მაინც, წელიწადში ერთხელ ნებისმიერ თბილისელს ჰქონოდეს სუფრაზე ხოხბის ჩახოხბილი (ოცნებას კაცი არ მოუკლავს!).

„შემომეყარა ყივჩაღი
საზღვარსა მუხრანისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა,
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა“...

ან ხალხური სასიმღერო ტექსტის სტრიქონი რად ღირს: **ხოხბის ყელივით ლამაზი, ქალი გადმოდგა ბანზედა“...**

ხოხობი კიდევ ერთი სიმბოლოა ჩვენი ქვეყნისა, გავამრავლოთ და მოვუაროთ მას!

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲗᲐᲕᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲩᲛᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲓᲐᲜ

ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲐᲠ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲡᲐᲔᲙᲠᲐᲜᲝ ᲢᲘᲢᲠᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲔᲚᲓᲐᲠ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲠᲣᲡᲢᲐᲛ ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛᲑᲔᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ. ᲗᲘᲗᲝᲗᲝᲔᲣᲚ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ, ᲐᲥ ᲙᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲐ, ᲓᲐᲔᲛᲗᲮᲕᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ, ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲢᲠᲘᲝ“ (ᲤᲣᲐᲓ ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛᲑᲔᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲝᲛᲘᲣᲠᲐᲖ ᲑᲣᲢᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ). ᲓᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲒᲝᲠᲙᲐ ᲒᲝᲛᲔᲖ ᲐᲜᲓᲠᲔ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ).

საფუძვლად კი უდევს ჩვეულებრივი, ყოველდღიური სიტუაცია. ახალგაზრდა კაცს ორი მამა აღმოაჩნდა, ერთი მშობელი, მეორე – მამინაცვალი, და საჭირო იყო როგორმე განესაზღვრა – ცხოვრების წესი, გვარი, ბოლოს და ბოლოს. კერძოდ, რაზეა საუბარი?

თუმცა, ხდება საეკრანო მოქმედება, და თქვენ აღმოჩნდებით ადამიანურ ისტორიაში ჩათრეული, როდესაც ამ ყოველდღიურობაში იმსხვრევა ღირსეულ ადამიანთა ბედისწერა, ფილმის ატმოსფერო, ჰაერი იუღინთება მომხდარი და სამომავლო ტრაგედიებით. უბრალოდ... დიახ, უბრალოდ იმიტომ, რომ მშობელი მამა სომეხია, მამინაცვალი – აზერბაიჯანელი, მათი ქვეყნები კი მტრულ ვითარებაში აღმოჩნდნენ, გონებისა და გაგებისათვის ადგილს რომ აღარ გიტოვებდნენ.

სამ ძველ და ერთგულ მეგობარს – სომეხს, აზერბაიჯანელსა და ქართველს – თამაშობენ იური სტოიანოვი, ქართველი მსახიობები გოგა პიპინაშვილი და ბაადურ წულაძე. მათ უნდათ ცხოვრება ისე, როგორც ცხოვრობდნენ, შეინარჩუნონ თავი და თავისი ადამიანური ღირსებანი – და ამისთვის იხდიან დიდ, ძალიან დიდ საფასურს. ყოველდღიურობა ტრიალდება სულიერ იატაკქვეშეთად, ბალს მართავს ყველაფრის ნებით გამომთვრალი ბრბო, ან ამ ტალღის ცალკეული წარმომადგენლები...

ამას წინათ ტელევიზორით ვნახე ხელახლა ალექსანდროვის ფილმი „ცირკი“. კადრები, როდესაც ყველაფრის ნებადართული გამომთვრალი ბრბო, მთელი შემადგენლობით, მისდევს თეთრკანიან ქალს შავკანიანი ბავშვით, იწვევდნენ, უკეთეს შემთხვევაში შემწყნარებლურ ღიმილს: აბა როგორ, გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლო პერიოდის პრიმიტიული აგიტაცია. მაგრამ უეცრად, როდესაც შეასრულეს თავბრუდამხვევი კულბიტი (აკრობატიკაში ერთგვარი ხტომი – **რედ.**), პრიმიტიული აგიტაცია გამოეხმაურა, გადაიქცა, შემოტრიალდა დღევანდელ რეალობად. ოღონდ პლანეტის სხვა წერტილში. ირგვლივ აბსურდებს რა გამოლევს, ეს, როგორც ეტყობა, ყველაზე აბსურდულია.

ეს როგორ შევძელით, როგორ მოვახერხეთ...

რა მოხდა, ხალხო? რაშია მტანჯველი განხეთქილების მიზეზი? შეურიგებლობისა და მტრობის სულსა და გულს რომ კლავს?

მე ძველი ადამიანი ვარ და კარგად მახსოვს ის დრო, როდესაც ისეთი ფილმი, როგორიცაა „კავკასიური ტრიო“, შეუძლებელი იყო. მე ცენზურა როდი მაქვს მხედველობაში. შეუძლებელი იყო, გადაგეღო კინო იმაზე, რაც არ არის. იმ მოსკოვში, იმ ბაქოში, იმ თბილისში, იმ ერევანში ეროვნების შესახებ არავინ არავის ეკითხებოდა. კინოფესტივალები ბაქოში – ქუჩებში არის არა ბრბო, არამედ მრავალენოვანი ადამიანური თანამშრომლობა, სადაც ყველას ესმოდა ერთმანეთისა.

ხელისუფლებები მტრობდნენ ხალხებს – ეს იყო, მაგრამ ხალხები ხალხებს... არა, მივაწეროთ ზედმეტი ცოდვები საბჭოთა წლებს – არ არის საჭირო.

მას უკან ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, დაიმსხვრა, საზღვრებს კვეთდნენ ცოცხალ ადამიანებზე. დიდი ხანია, არ ვყოფილვარ კავკასიაში რუსეთის საზღვრებს მიღმა, და აი, როდესაც ვუყურებ ეკრანს, ვეკითხები ჩემ მეგობრებს რუსტამს, ელდარს, საკუთარ თავს: ნუთუ ყველაფერი ახლა ასეა? და იმის შესაძლებლობა რომ დაკარგო სამუშაო, ჯანმრთელობა, სიცოცხლე სხვა ეროვნების ადამიანის თანაგრძნობისათვის? და ერთი-მეორისადმი ნორმალური ადამიანების (და რა არის აქ ნორმალური?) ბრმა, ყრუ თანაგრძნობა – ეს ის რეალობაა, რაშიც ახლა უნდა ვიცოცხლოთ? ვეკითხები და აქეთ-იქით ვიყურები: იქ უკრაინაა, იქ თურქეთია – და კვლავ ფილმს ვუბრუნდები. იგი ამის შესახებაცაა.

და კიდევ, აბსურდის ორომტრიალში ვარჩევ ადამიანებს, საუკეთესოებს მათგან, რომლებიც რჩებიან ადამიანებად, თუმცა, ძალიან ბევრი რამ უბიძგებს მათ იქითკენ, რომ დაკარგონ ადამიანის სახე. ისინი იბნევიან, იშლებიან, ამბობენ სიტყვებს, რისიც შემდეგ შეგრცხვება, – და მაინც რჩებიან ადამიანებად.

შენგელაიას და იბრაჰიმბეკოვის ფილმში არის გზავნილი ადამიანებისადმი. და არის გზავნილის სიმამაცეც – ეს არ მოვგუდოთ, არ შევარბილოთ.

ხარვეზებიც, რასაკვირველია, არის. სხაპასხუპით საუბარი იქ, სადაც გინდოდა, შენელებულიყო სვლა, გაჩერებულიყავი, უკან მოგეხედა. სიუჟეტური წყვეტილები, როდესაც რაღაც ეპიზოდი საერთო კონტექსტში არცთუ მთლად გასაგებია. მაგრამ დაასახელეთ ვინ არის კიდევ, ვინც პოსტსაბჭოთა სივრცეში გაბედავდა, ასე გაბედულად და პირდაპირ იტყოდა ყველაზე და ყველაფერზე, იქნებ, ზედმეტად მტკივნეულზე, რაც თავს გადაგვხდა გასულ წლებში? თუ დაასახელებთ – ძალიან მასიამოვნებთ.

წარსულში შენგელაიასა და იბრაჰიმბეკოვს ჰქონდათ კინონამუშევრები, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, არ აიდეალებდნენ მაშინდელ ჩვენს რეალობას. მაგალითად, „ცისფერი მთები“, „დაკითხვა“. იყო რისხვა, სარკაზმი, იყო ირონია, მაგრამ იმედიც იყო, რომ ჩვენ მაინც საერთო ძალისხმევით მივალთ ღირსეულ და ღირებულ ცხოვრებასთან. ახლა არის დრო, რომლის იმედიც მაშინ გვქონდა, მიგვაჩნდა როგორც ჩვენი ძალისხმევის საუკეთესო შედეგი. რა დაგვრჩა იმედისაგან?

და აი, ის დაგვრჩა, ალბათ, რომ შეიკრიბნენ ხელოვნები ადრე ერთი ქვეყნიდან, ახლა კი სხვადასხვა ქვეყნებიდან – შეიკრიბნენ და გადაიღეს მრავალეროვნული კინო იმის შესახებ, რომ არაბუნებრივია საზღვრები ადამიანთა სულებში. იმის შესახებ, რომ ადამიანთა ერთიანობა, ადამიანთა თანამეგობრობა არ წავიდეს წარსულში სამუდამოდ. არა, იგი არსებობს და იარსებებს, რა ვითარებებიც არ უნდა იყოს ამის წინააღმდეგ. და შეგვახსენეს იმის შესახებ, რომ ხელოვნებას, კინოხელოვნებას კერძოდ, აქვს ვალდებულებანი ადამიანთა წინაშე. აქვს მისია, რისი დავიწყებაც არ შეიძლება. გადამწყვეტ, ცვალებად დროს განსაკუთრებით.

გაისმა სუფთა და მკაფიო ხმა. იქიდან, კავკასიიდან.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜ ᲨᲩᲔᲠᲑᲐᲙᲝᲕᲘ

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

◎ ძიუდო

ღვინიაშვილის მეორე ამერიკული

ერთი კვირის წინათ პერუში გამართულ ძიუდოისტთა პანამერიკულ თამაშებზე ბექა ღვინიაშვილმა (100) ხუთ მეტოქეს სძლია, მათ შორის ფინალში ესტონელ გრიგორი მინასკინს და პირველ ადგილთან ერთად საოლიმპიადედ სარეიტინგო ქულებიც მოიპოვა.

ქართველმა ფალავანმა პერუდან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესს მიაშურა და პან-ამერიკის „ღია კონტინენტურ თასზე“ იასპარეზა. ღვინიაშვილმა არგენტინელი ლუტარო ავაქიანი, ბრაზილიელი ვიქტორ ბუზაკარინი და ჩეხი ტომაშ კნაპეკი დაამარცხა, ფინალში ამჯერადაც ესტონელ გრიგორი მინასკინს აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ჩვენებურმა უკვე 338 ქულას მოუყარა თავი, რაც მხოლოდ 44-ე ადგილამდე დააწინაურებს. 100 კილოში რიოს ლიცენზიის მოსაპოვებლად კი სულ მცირე კიდევ 250 ქულა სჭირდება. არადა, სეზონის ბოლომდე მხოლოდ უმაღლესი რანგის ტურნირებია დარჩენილი, რომლებშიც სარეიტინგო ქულების მოპოვება იოლი არ იქნება.

ლექსო ცინცაძე

* * *

ზაგრებში ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის თასზე საკუთარი სახსრებით გაემგზავრა გიგა აბუაშვილი (73). ქართველმა მოჭიდავემ ბოსნიელი ჰარის ალიბაბიჩი, ჩეხი მიკულას მესკო და უნგრელი რობერტ რაიკაი იპონებით დაამარცხა, ფრანგ უგო მეტიფს გაფრთხილებებით მოუგო, ნახევარფინალი მომავალ ჩემპიონ დილან რეხისტერთან (ისრაელი) დათმო, დამამშვიდებელში უნგრელ ბენედეკ ტოტის ვაზარით აჯობა და მესამე ადგილი დაიკავა.

თამაზ პატარაია

◎ სხვა რაკურსით

ვლადიმირ ვაისი-უმცროსი: მამა, გილოცავ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას!

სლოვაკეთის ეროვნული ნაკრებისა და ყატარის „ალ-გარაფას“ ფეხბურთელმა უმცროსმა ვლადიმირ ვაისმა მამამისს, ასევე ვლადიმირ ვაისს მიულოცა ახალი პოსტი – საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცობა. ვაის-უმცროსმა საკუთარი Twitter-ის გვერდზე განათავსა ტექსტი:

„მამა, გილოცავ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას და წარმატებას გისურვებ! დარწმუნებული ვარ, კიდევ ერთხელ გექნება დიდი მიღწევა!“.

სხვათა შორის, წლეულს იანვარში ვაის-უმცროსის „ზენიტში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ საბოლოოდ, 4,5 წლიანი კონტრაქტი გააფორმა „ალ-გარაფასთან“. მისი აგენტი ცნობილი იტალიელი მინო რაიოლა გახლავთ.

ისე, საქართველოს ნაკრების თავკაცის მეუღლეც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია: მარტა ვაისოვა ხშირად ესწრება მატჩებს.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

პირველად – მე-12 ადგილზე!

საქართველო პირველად შევიდა „მსოფლიო რაგბის“ რეიტინგის მოწინავე 12-ეულში. „ბორჯღალოსნებმა“ შარშან, მსოფლიო თასი კი დააფინიშეს ზედა 12-ეულში და 2019 წლის თასზე, იაპონიაში ასპარეზობაც დაიბევეს, მაგრამ ერთია მსოფლიოს განთესვა და სულ სხვა – რეიტინგი, რომელიც ყოველ ორშაბათს ახლდება ვიქენდის შედეგთა მიხედვით.

საქართველომ შაბათს, სოჭში, 24:7 სძლია რუსეთს. რაკი თამაში სტუმრად მოვიგეთ და თანაც 15 ქულაზე მეტით, ამის გამო მეტადაც ვიხეირეთ – 76 ერთეულით, გადავუსწარით ტონგას და კიდევ უფრო მოვიტოვეთ 6 ერის მონაწილე იტალია, რომელიც წინა სანაკრებო კვირას ჩამოვიტოვეთ.

რეიტინგის პრინციპით, ამდენივეთი იზარალა დამარცხებულმა რუსეთმა და მე-20 ადგილამდე დაეშვა. ერთი საფეხურით აღზევდა ინგლისი, ვინაც ვადამდე გახდა „ექვსი ერის“ ჩემპიონი, „რაგბი ევროპაზე“ ჩვენი ბოლო მეტოქე – რუმინეთი კი მე-16 პოზიციაზე დარჩა.

„მსოფლიო რაგბის“ რეიტინგი (14/03/2016)

1 ახალი ზელანდია 9610, 2 ავსტრალია 8933, 3 სამხრეთი აფრიკა 8766, 4 უელსი 8310, 5(6) ინგლისი 8306, 6(5) არგენტინა 8259 7(8) ირლანდია 7970, 8(7) საფრანგეთი 7929, 9 შოტლანდია 7895, 10 იაპონია 7705, 11 ფიჯი 7696, 12(13) საქართველო 7221, 13(12) ტონგა 7160, 14 იტალია 7078, 15 სამოა 7036, 16 რუმინეთი 6793

ბორჯღალოსანთა დასაბამიდან რეიტინგში პირველად აღვზევდით ისტორიულ მე-12 ადგილზე, თანაც სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩის წინ. ამით არაფერი დასრულებულა, 19 მარტს დინამო არენაზე ჩვენს ყველაზე პრინციპულ მეტოქეს, მუხებად წოდებულ რუმინეთის ნაკრებს ვუმასპინძლებთ.

სეზონის ფინალურ მატჩზე დინამოს გავსება და მორიგჯერ რუმინელი მუხების დამარცხება ქართული რაგბის აღმასვლისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, 19 მარტს ერთად გავავსოთ დინამო და სავსე ტრიბუნებით დავხვდეთ რუმინელ მუხებს.

კობა კობახიძე

◎ ჭადრაკი

ჰოუ იფანი – მესამედ!

ლვოვში ქალ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლა დასრულდა, სადაც ერთმანეთს მოქმედი ჩემპიონი მარია მუზიჩუკი(უკრაინა) და ექს- ჩემპიონი ჰოუ იფანი(ჩინეთი) ხვდებოდნენ.

აღნიშნული დაპირისპირების მე-9 პარტია იფანის გმარჯვებით დასრულდა და ანგარიში გახდა 6:3 ჩინელი მოჭადრაკის სასარგებლოდ. ასე რომ, მან მესამედ დაიდგა გვირგვინი!

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სამთო თხილამურები

გვერდს დაუმშვენებს ჰაწვალს თეთნულდი

მესტიაში სამთო მოთხილამურეთა საქართველოს თასის გატამაშების მე-4 ეტაპზე საასპარეზოდ 45-მა სპორტსმენმა მოიყარა თავი. მათ შორის გახლდათ ორი ირანელი – ანაჰიტა და მითრა რაჰიმეები. მოთხილამურეებმა ჯერ თეთნულდის ახალგახსნილ ტრასაზე ივარჯიშეს (სპეციალისტთა აზრით, თეთნულდის ფერდობზე მომავალი წლიდან საერთაშორისო სტანდარტებით FIS-ის ტურნირების გამართვა გახდება შესაძლებელი), შემდეგ კი ჰაწვალში ზურულდის ფერდობზე (სტარტის სიმაღლე 2300 მ. ფინიშის სიმაღლე 1800 მ. ტრასის სიგრძე 1100 მ. კარების რაოდენობა 45) გადაინაცვლეს და გიგანტურ სლალომში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გამარჯვებულები და პრიზიორები სამ ასაკში გამოვლინდნენ:

გოგონები

2002-2003 წლებში დაბადებულნი. 1. ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 1.35,25), 2. ანა მაზმიშვილი (ბაკურიანი, 1.46,97), 3. მარიამ პაქსაძე (აჭარა, 1.54,56). **2000-2001 წ.წ.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 1.28,30), 2. კატო გოცირიძე (გუდაური, 1.29,67), 3. ანა ჩართოლანი (სვანეთი, 1.29,76). **1999 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. მარიამ ჭკადუა (სვანეთი, 1.28,17). ასპარეზობის დანარჩენმა მონაწილეებმა, მათ შორის – ირანელმა რაჰიმებმა, დისტანცია ვერ ჩაამთავრეს.

ვაჟები

2002-2003 წ.წ. 1. ალეკო ჯაფარიძე (სვანეთი, 1.31,43), 2. ავთო ჯაფარიძე (სვანეთი, 1.33,47), 3. თადეოზ ჯაფარიძე (სვანეთი, 1.35,13), **2000-2001 წ.წ.** 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.22,87), 2. ლაშა ჯაფარიძე (სვანეთი, 1.26,12), 3. ლუკა გოშთელიანი (სვანეთი, 1.26,96). **1999 წ.** 1. ანზორ ჯაფარიძე (სვანეთი, 1.26,92), 2. გოჩა ჯორბენაძე (აჭარა, 1.31,36), 3. თენგიზ მეხეშიძე (აჭარა, 1.31,36).

ლაშა დიდია

◎ ინტერნეტიდან

საბრინა რაველი ყოფილ გულის სწორზე წუწუნებს

ოხერი რამაა ეს სიყვარული. ჯერ არის და კაცს თუ ქალს გულჯიგარს ისე ამოუშანთავს, რომ მათი მხილველი კაცი იტყვის, ვინც სიყვარულზე ლექსები დაწეროს, იმას კი მააჭკნეს სადაც კი მოსაჭკნობიაო. მერე კიდე თუ წყვილი დაშორდება, ახალი უბედურება და მტრობა იწყება.

აი მაგალითად, მთელს არგენტინაში დიდად პოპულარული მოდელი, ჭეშმარიტად მარწყვივით გოგო, საბრინა რაველი, „ბოკა ხუნიორსის“ ფეხბურთელთან, ნერი კარდოსოსთან დაშორების შემდეგ, პირიდან ისეთ ღვარძლიან წინადადებებს ისვრის, ყურში რომ არ შეიშვება. არადა, ასეთი კოხტა ასულისგან უხამსობების თქმა იქნება?...

საბრინა რაველი ამბობს, რომ იმ ჩვენი ცოდვით სავსე ნერი კარდოსოს მასთან სექსი რომ მოესურვილებინა, ქალს იმოდენა მონდომება და ტანჯვა-წამების გამოვლა უწევდა, რომ ეგეთ სექსს ფასიც კი აღარა აქვსო. თან უნდა ნახოთ, როგორ ყიამყრალურად აღწერს ეს საბრინა ბედოვლათი ნერის სექსის ამბებში უუნარობას. ეგრეც ხომ არ შეიძლება? იქნებ ქელეხში იყო თამადა და ვერ მოახერხა? ეს ოხერი ცხოვრება განა თითია, როცა გინდა მაშინ გაშალო...

როსტომ რაჭველიშვილი

სწორი გზით

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2016 წლის 11 მარტს გაიმართა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც მოისმინა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის მოხსენება განვლილი პერიოდის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2015 წელს გამოიცა 15-მდე მონოგრაფია და სახელმძღვანელო, დაიწერა 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, 50-მდე პრაქტიკული რეკომენდაციები ფერმერებისთვის, გამოვლინდა აგრარულ დარგში წლის საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომები, დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულებები საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან, აკადემიის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში; გაღრმავდა აკადემიის თანამშრომლობა საერთაშორისო სტრუქტურებთან, გაიზარდა აკადემიის მიერ ჩატარებული ღონისძიებების (სემინარები, მრგვალი მაგიდები, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები) რაოდენობა, აკადემიის დარგობრივი ეროვნული კოორდინატორების საქმიანობა.

მნიშვნელოვნად გააქტიურდა თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან, აგრარული მიმართულების ორგანიზაციებთან და სხვა.

2015 წლის ნოემბერში, შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით აკადემიამ ჩაატარა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალურ დათბობასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ პრობლემებთან, რომელთა შორის წინა პლანზე წამოწეული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 100-ზე მეტი მეცნიერი, მათ შორის, 25-მდე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, კონფერენციის მასალები დაიბეჭდა კრებულში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

საერთო კრებამ მოისმინა სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების მოხსენებები და აგრარულ დარგში სამომავლო სამეცნიერო საქმიანობის პერსპექტივები.

საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ და სიტყვით გამოვიდნენ: განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე — **თამაზ მარსაგიშვილი,** სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები — **იური ნოზაძე და გოჩა ცოფურაშვილი.** აკადემიასთან დადებული ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე **იოსებ აბულაძე** და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი პროფ. **ლევან უჯმაჯურიძე,** ქუთაისის ა.წერეთლის უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფ. **რ. კოპალიანი** და გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. **ვ. სუხიშვილი** და სხვები. კრებას ესწრებოდა აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსი **ნუგზარ ჩიტაია.**

საერთო კრებაზე კამათში გამომსვლელმა აკადემიის წევრებმა და მონაწილეებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2015 წლის საქმიანობა შეაფასეს დადებითად.

საერთო კრებამ დაამტკიცა წესდებაში შესატანი ცვლილებები, კერძოდ „აკადემიის სამეცნიერო საბჭოს“ შესახებ, რომელიც კრებას მოახსენა ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. **გ. ჯაფარიძემ.**

აკადემიის წლიურ კრებაზე აკადემიის დიპლომები და პრემია გადაეცათ 2015 წელს აგრარულ დარგში საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების ავტორებს: — აკად. **თ. ურუშაძეს,** დოქტორებს **ა. თხელიძეს** და **გ. ღამბაშიძეს** ნაშრომისათვის „საქართველოს ნიადაგები“; აკად. **გ. ტყემალაძეს** ნაშრომისათვის „ბიოქიმიის საფუძვლები“; პროფ. **ი. ყრუაშვილს** ნაშრომისათვის „ღვარცოფები და მასთან ბრძოლის მეთოდები“, აკად. **ნ. ბაღათურიას** ნაშრომისათვის „ენოლოგია — ღვინის წარმოქმნა და დავარგება“; აკად. **ნ. ჭითანავას** ნაშრომისათვის „საქართველოს სოფლის მეურნეობა — ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები“ და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს **ქ. დადიანს** ნაშრომისათვის „გარემოს ქიმიური დამბინძურებლების რისკის შეფასება“.

სალომე კიკნაველიძე,
აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის პრესსამსახური

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო მწუხარებას გამოთქვამს აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მუშაკის

ზაზა მიქავას

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

ნანული (ნანა) გუნია, შვილები ედუარდ (იოანე), გიორგი დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, წილკნისა და დუშეთის ეპარქიის მღვდელმთავარს, მიტროპოლიტ ზოსიმეს (შიოშვილი) დედის

მანია (მინადორა)

გარდაცვალების გამო.

ნაირა კეკელია, მამუკა ვაშაკიძე, ოთარ ტურაბელიძე, გოგი მერმანიშვილი, გივი ჯოლბორდი, უშანგი ჩომახიძე, გია გაბრიჭიძე სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარს თემურ (ნუკრი) დანელიას დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

მალვინა

ბარქაია-დანელიას

გარდაცვალების გამო.

სიძველით მეორე

საქართველოს ეროვნული დროშის გამოსახულება — თეთრ ფონზე ხუთი წითელი ჯვარი XIII საუკუნით თარიღდება და, სიძველით, დანიის სახელმწიფო დროშის შემდეგ, მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

— ჩვენ ვიყავით მსოფლიოში მეორე ქვეყანა, რომელსაც საკუთარი დროშა გააჩნდა და ეს ფაქტი ჰერალდიკის მსოფლიო საბჭოს მიერაა დადასტურებული, — განაცხადა საქართველოს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, კინორეჟისორმა **ელდარ შენგელაიამ.** — საქართველოს სახელმწიფო დროშა ვიზუალურად ისევ ისე გამოიყურება, როგორც რვა საუკუნის წინათ. ამაში რომ დავრწმუნებულიყავით, პარიზში სტუმრობა მოგვიხდა. თბილისში ჩვენ ძველი დროშის შავ-თეთრი გამოსახულება ვნახეთ, ამდენად იმის დამტკიცება, რომ ეს საქართველოს დროშა იყო, შეუძლებელი იყო. ამიტომაც პარიზს გავემგზავრეთ საქართველოს მაშინდელ ელჩთან საფრანგეთში **გოჩა ჩოგოვაძესთან** ერთად. იქ საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის კარტოგრაფიულ განყოფილებაში ორ **პორტულანს** (საზღვაო რუკას) მივაკვლიეთ, რომლებიც XIV საუკუნით თარიღდება. ციხის გამოსახულებას „ტიფლისი“ ეწერა და ხუთჯვრიანი დროშები სწორედ მის თავზე იყო გამოსახული.



უწინ მეგონა, რომ „ტიფლისი“ — ესაა „თბილისის“ სახელწოდების რუსული ფორმა, არადა აღმოჩნდა, რომ რუსული კი არა, არაბული ყოფილა. მანამდე, ხუთჯვრიან დროშას ზოგიერთნი ისრაელს მიაწერდნენ, სხვები კი ჯვაროსანთა სიმბოლიკასთან მის მსგავსებას უსვამდა ხაზს.

ბატონ ელდარ შენგელაიას თქმით, ისრაელის სახელმწიფოს დროშა მწვანე ფერისაა, მართალია, მსგავსი დროშა ჯვაროსნებსაც ჰქონდათ, თუმცა, მას სხვა კონფიგურაცია ჰქონდა, განსხვავებული იყო ჯვრის ფორმაც. ჰერალდიკაში კი ერთი პატარა შტრიხიც კი მთელ გამოსახულებას უკვე სულ სხვა მნიშვნელობას ანიჭებს.

სახელმწიფო დროშის დღე ჩვენში 14 იანვარს აღინიშნება, რადგან 2004 წლის სწორედ ამ დღეს პარლამენტმა დაამტკიცა „სახელმწიფო დროშის შესახებ“ კანონი, რომელიც გერბთან და ჰიმნთან ერთად საქართველოს ოფიციალურ სიმბოლოს წარმოადგენს.

ოთარ მერიშვილი

„ვისოლი“ „ავი ძაღლის“ პრინციპით მოქმედებს - ხარძიანს წაართვეს, თავად არაფერს აშენებენ...

თბილისის ცენტრში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, „ვისოლის“ მიერ რამდენიმე წლის წინ შეძენილი ქონება ისევ უფუნქციოდაა დარჩენილი. საუბარია სასტუმრო „აფხაზეთზე“, რომლის შენობაც კომპანიამ 2011 წელს შეისყიდა. დღეს ადგილი, სადაც სასტუმრო მდებარეობდა, შემოღობილია და მასზე არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს. რას გეგმავს ამ მიმართულებით „ვისოლ ჯგუფი“, აპირებს თუ არა ობიექტის რეაბილიტაციას და როგორ, ამის შესახებ „კომერსანტი“ თავად „ვისოლ ჯგუფს“ დაუკავშირდა, თუმცა, კონკრეტული პასუხის მიღება ვერ შევძელით.

„ვისოლის“ გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ სასტუმროსთან დაკავშირებით ახალი არაფერია და ისევ იმ პირობებშია, რაც ადრე იყო. **„თარიღს ვერ დაგისახელებთ, როდის იქნება და რა იქნება. ველოდებით სასურველ საინვესტიციო პირობებს.“** — აცხადებს ხორავა.

შეგახსენებთ, სასტუმროს შენობა „ვისოლმა“ 4 მილიონად 2011 წელს შეიძინა. მაშინ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სოსო ფხაკაძე აცხადებდა, რომ ობიექტი იმ ფასად შეიძინა, რაც იმ პერიოდში საბაზრო ფასზე ძვირი იყო. მისივე თქმით, მიუხედავად ამისა, „ვისოლ ჯგუფს“ საკუთარი ბიზნეს-გეგმისთვის შენობის შეძენა უღირდა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასტუმრო „აფხაზეთზე“ 2013 წელს განცხადებებს აკეთებდა ბიზნესმენი ბესიკ ხარძიანი. ბიზნესმენი მაშინ „კომერსანტის“ პირდაპირ ეთერში აცხადებდა, რომ ციხეში ყოფნისას იძულების წესით ჩამოართვეს ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე სასტუმრო „აფხაზეთის“ წილი. მისივე ვარაუდით, სასტუმრო ეკონომიკის სამინისტრომ „ვისოლ ჯგუფს“ ერთ ლარად გადასცა. ბესიკ ხარძიანი წართმეული ქონების დაბრუნებას ითხოვდა.

ამის პასუხად, ფხაკაძე განმარტავდა, რომ ხარძიანის მხრიდან მათი სახელის ხსენება არაკორექტული იყო, რადგან ასეთი განცხადებების შემდეგ ინვესტირების სურვილი არა მხოლოდ უცხოელ, ქართველ ბიზნესმენებსაც აღარ ექნებოდათ.

სოფო ქსოვრელი

განცხადება

2016 წლის 1 მარტს ქ. თბილისში, საბურთალოს ქუჩიდან ვაგზლის მოედნის მიმართულებით ტაქსში მჯდომმა ერაყის მოქალაქე ალი საბაჰ ჯასიმმა დაკარგა პასპორტი. პოვნის შემთხვევაში, გთხოვთ დაუკავშირდეთ ტელ: 555-518-271. პასპორტის ნომერი: A7474710

اعلان

بتاريخ 1-03-2016 فقد المواطن العراقي علي صباح جاسم
جوازه العراقي في سيارة أجرة متوجهة من شارع
سبرتالو الى محطة القطار فاكزالي في مدينة تبليسي
في حال العثور على الجواز الرجاء الإتصال
رقم الجواز: A7474710 رقم الهاتف 555-518-271

◎ ამინდი

მარტი რომ წინ გედოსო...

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ინტენსიური თოვის გამო ზვავსაშიშროებაა, რის გამოც აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ამავე გზის სტეფანწმინდა-ლარსის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მიმოსვლისას იკრძალება მათი გაჩერება.

რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო (ძლიერი ქარბუქი, ყინვა და დაბალი ხილვადობა), კოდა-ფარცხისი-მანგლისი-წალკანინოწმინდის საავტომობილო გზის საუღელტეხილო მონაკვეთზე (ნარდევანი-როდიონოვკა(ფარავანი) კმ94-კმ110), ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

ინტენსიური თოვის გამო, ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ37-კმ55 (ნაქერალას უღელტეხილი) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

◎ კრიმინალი

მებაჟე ოფისრებს ოქრო ვერ დაუმალეს

ოქროს ნაკეთობების უკანონო შემოტანის მცდელობა გამოავლინეს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა საბაჟო გამშვებ პუნქტზე „სადახლო-საავტომობილო“. სომხეთის მხრიდან შემოსული ავტომობილის ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, მათ 7555,88 ლარის ღირებულების, საერთო წონით 111,76 გრამი არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს. ავტომობილს მართავდა ყაზახეთის მოქალაქე მ.ზ..

ყურადღება!

2016 წლის 18 თებერვალს (პარასკევს) 15 საათზე გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან არსებული გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

რამაზ გერლიანი

თემაზე: **„ქონების განკერძოების ეკონომიკური ეფექტი და საპილოტე პროგრამა“.**

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში (ალ. ყაზბეგის 47, VI სართული).

დასწრება თავისუფალია.

თეიმურაზ ბაბუნაშვილი,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე

რეკლამა მაჩაბლის ქ.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 3-37-87

ყველა მრავლდება ქართველების გარდა!

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიუროს ცნობით, წლის დამდეგიდან დედამიწის მოსახლეობამ 7,3 მილიარდ კაცს გადააჭარბა.

ამჟამად მოსახლეობის ზრდის ტემპი 1,08 პროცენტს შეადგენს, ანუ ყოველწლიურად 78 მილიონი ადამიანი ემატება. 2016 წლის დამდეგს აშშ-ის მოსახლეობამ 322,76 მილიონ კაცზე მეტი იყო, რაც ქვეყანაში 2,47 მილიონი მოსახლით (0,77 პროცენტით) მატებას ნიშნავს. 2010 წლის აღწერის შემდეგ ამერიკის მოსახლეობა დაახლოებით 14 მილიონი კაცით გაიზარდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყნებია **ჩინეთი** (1,367 მილიონი კაცი), **ინდოეთი** (1,252 მილიონი კაცი) და **აშშ**, შემდეგ მოდიან **ინდონეზია, ბრაზილია, პაკისტანი, ნიგერია, ბანგლადეში,** ამ სიის მე-9 ადგილზეა **რუსეთი,** ხოლო პირველი ათეულის ჩამკეტია **იაპონია.**

წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის ნოემბერში ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგებით, **საქართველოს მოსახლეობა იმ დროისთვის 3 მილიონ 729 ათას 635 კაცს შეადგენდა.**

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ფრთხილად, მომაკვდინებელია!

მწეველო, თუ შენი თავი არ გეცოდება, გარშემომყოფთ მაინც გაუფრთხილდი!

სიგარეტის მწარმოებლების მიერ გამხელილი საიდუმლო — თამბაქოს მომაკვდინებელი შემადგენლობა!

სიგარეტში, ქაღალდისა და თამბაქოს გარდა, კიდევ 597 ინგრედიენტია. გაიგეთ კიდევ რა შედის სიგარეტის შემადგენლობაში.

თამბაქო — მწვანედ შეფოთლილი მცენარე, რომელიც თბილ კლიმატურ პირობებში იზრდება. გადამუშავებისას მას ფერმერები სხვადასხვა არომატებსა და დიდი რაოდენობით ქიმიურ ნივთიერებებს ურევენ.

თამბაქოს მწარე გემოს გადასაფარად ამატებენ ნივთიერებას, რომელიც კარგ გემოს სძენს, ამან კი სულ უფრო მეტი ადამიანი გახადა სიგარეტზე დამოკიდებული.

ამიაკი — ამატებენ, რათა ნიკოტინის ბოლი სწრაფად გაჯდეს ფილტვებში.

კიდევ რამდენიმე ინგრედიენტი, რომლებიც სიგარეტს უფრო გემრიელსა და არომატულს ხდიან:

ნიკელი — შხამი, რომელიც კუჭ-ნაწლავის პრობლემებს იწვევს;

ბენზოლი — გამოიყენება საღებავის შესაქმნელად;

დარიშხანი — თაგვის საწამლავის მოსამზადებლად იყენებენ;

ბუტანი — თხევადი აირი, რომელსაც სანთებელა შეიცავს;

ნახშიროჟანგი — მომწამლავი აირი;

კადმიუმი — ბატარეებისა და აკუმულატორების საწარმოებლად გამოიყენება;

ციანიდი — მომაკვდინებელი შხამი;

DDT — მომაკვდინებელი გაზი;

ეთილის ფურფურატი — აზიანებს ღვიძლს;

ტყვია — ძლიერი მომწამლავი;

ფორმალდეჰიდი — გვამების ბალზამირებისა და შესანახად გამოიყენება;

ნაფტალინი — განმარტება არ სჭირდება;

მეთილიზოციანატი — 1984 წელს ინდოეთში მისმა შემთხვევითმა გაჟონვამ 2 000 ადამიანი იმსხვერპლა;

აცეტონი;

სიგარეტზე საუბრისას კი, მხოლოდ სამ შემადგენელ ნაწილს ახსენებენ: ნიკოტინი, ფისი და ნახშიროჟანგი

ნიკოტინი — ძლიერი შხამი, რომლის 1 წვეთი ცხენს კლავს;

ფისი — ნივთიერება, რომელიც ფილტვებზე რჩება, შედეგად ფილტვები შავდება და ხველება გეწყებათ;

ნახშიროჟანგი — შხამიანი აირი, რომელიც ხელს უშლის სრულფასოვან სუნთქვას, აზიანებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

თუ ფიქრობ, რომ მოწევას თავს ვერასდროს დაანებებ, იქნებ ამ მასალის წაკითხვის შემდეგ მაინც დაკარგო მოწევის სურვილი. გაუფრთხილდი შენსა და გარშემომყოფების ჯანმრთელობას!

ანა ვერძაძე

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ისრაელში ჩასულმა აბრამოვიჩმა გოდების კედლის ხვრელში წერილი შეაცურა.

„ამდენი არა მაქვს!“ — გაისმა ხმა კედლიდან.

* * *

— რძალო, საქონელს აჭამე?

— არა, დედი, თქვენს შვილს ჯერ კიდევ ძინავს.

* * *

— ძალს ასაკს არ ეკითხებიან, იგი მუდამ 18 წლისაა!

— გასაგებია ქალბატონო. ჩვენ ალკოჰოლურ სასმელებს 21 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეებზე ვყიდით. ასე რომ, გაიწიეთ, ხელს ნუ გვიშლით მუშაობაში!

* * *

— სახლში მივდივარ და ვხედავ, რომ გზაზე ჩემი მთვრალი შეფი გადადის.

— მერე?

— ახლა ვიცი, რომ ჩემი „ვოლვოს“ უსაფრთხოების სისტემა, რამდენიც არ უნდა დააჭირო ფეხი გაზს, ადამიანის წინ მანქანას თავად აჩერებს.

* * *

მამაკაცები ორ ტიპად იყოფიან: ვისაც შეუძლია მაცივრის მეხუთე სართულზე ატანა და ვისაც შეუძლია ამის საფასურის გადახდა.

◎ შემთხვევა

ნუცუბიძეზე სტამბა აფეთქდა

აფეთქება მოხდა ნუცუბიძის პირველ პლატოზე. საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე, სადაც სტამბა და საკანცელარიო ნივთების საწყობია განთავსებული, სავარაუდოდ, ავტომობილში ჩასამონტაჟებელი გაზის ბალონი აფეთქდა.

აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ საცხოვრებელი კორპუსიც დააზიანა. განადგურებულია სტამბის და საკანცელარიო ნივთების საწყობის დიდი ნაწილი.

დაშავებულია ორივე დაწესებულების 8 თანამშრომელი. ისინი კლინიკებში არიან გადაყვანილი.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!